საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 243 (263) ხუთშაბათი, 12 დეკემბერი, 1991 წელი ფასი 10 კაპიკი

ცენტრალური ტელევიზიის პირველი პროგრამით



საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ინტერვიუ მისცა ცნობილ ტელეკომენტატორს ბატონ ურმას ოტს, რომელსაც ცენტრალურ ტელევიზიაში თავისი რუბრიკა აქვს — „შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან“. ამ ერთსაათიან გადაცემას უახლოეს ხანს უჩვენებს ცენტრალური ტელევიზიის პირველი პროგრამა.

სურათზე: საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ინტერვიუს ჩაწერის დროს.

ზიზი კიკვაძის ფოტო (სეისის ფოტოქრონიკა).

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

მ. შ. მანჭულაშვილის ყვარლის რაიონის პრეფექტის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს მიხეილ შალვას ძე მანჭულაშვილი ყვარლის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 11 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

ლ. შ. იაშვილის ყვარლის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ლევან შალვას ძე იაშვილი ყვარლის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 11 დეკემბერი.

მიმართვა

სსრ კავშირის, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის უზენაეს საბჭოებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, „რეიტერის“, „ასოშეიტედ პრესის“, „ფრანს პრესის“ სააგენტოებს, მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებს

ვიმედოვნებთ რა, რომ თქვენთვის ძვირფასია მშვიდობისა და დემოკრატიის იდეები, მსოფლიოს ნებისმიერი რეგიონის მდგომარეობა, მეტადრე, დამოუკიდებლობის გზაზე ახლად გამოსულ სახელმწიფოებში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, ნებისმიერი ერის ინტერესები, მოგმართავთ ამ მცირე განცხადებით.

მოგეხსენებათ, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე სისხლი იღვრება საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ძირძველ ქართულ მიწაზე — შიდა ქართლში, რომლის ტერიტორიაზე ოსების კომპაქტურად ცხოვრების საბაბით 1922 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია-ანექსიიდან ერთი წლის შემდეგ, საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებამ ხელოვნურად შექმნა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“. აქვე მოგახსენებთ, რომ შიდა ქართლის მრავალჭირნახულმა მიწამ მე-17 საუკუნის დამლევს ფართოდ გაუღო კარი ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულ ოსი ეროვნების წარმომადგენლებს და აქ მათ მიეცათ კომპაქტურად დასახლების საშუალება. ხსენებული, აწ უკვე ყოფილი ოლქი შეიქმნა მიუხედავად ქართველებით დასახლებული 40 სოფლისა და 1 ქალაქის (ცხინვალის), აგრეთვე ოსური მოსახლეობის ნაწილის წინააღმდეგობისა. საგულისხმო და ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შემოსული ბოლშევიზმის ემისრები იყვნენ ამ კუთხის ოსურ მოსახლეობაში ანტიქართული გამოსვლების ინსპირატორები. ამდენად, ავტონომიური ოლქის დაფუძნებით შეიქმნა ცხელი წერტილის მუდმივი კერა, რომელსაც იმპერია ყოველთვის დაუპირისპირებდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ნებისმიერ მცდელობას.

ის, რაც ხდება დღეს ამ მიწაზე არ გახლავთ ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტი ქართველებსა და ოსებს შორის. მისი ინსპირირება იმპერიულ ძალთა წმინდა პოლიტიკურმა ზრახვებმა განაპირობა. ქართველ ერს არასდროს ახასიათებდა ერთა მოძულეობა. პირიქით, საქართველოში მოსახლე ნებისმიერი ერის წარმომადგენლებს ყოველთვის ჰქონდათ და აქვთ ეროვნული კულტურული ტრადიციებისა და მშობლიური ენის შენარჩუნების, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო კერების დაარსების მხრივ სრული თავისუფლება. თბილისში, სულ რაღაც 1 კვ. კმ. ფართობზე შეხვდებით სინაგოგას, მეჩეთს, ქართულ მართლმადიდებელ და სომხურ გრიგორიანულ ეკლესიებს. არის რუსული ეკლესიებიც. ის გახლავთ ერთადერთი ქვეყანა. სადაც 26 საუკუნის მანძილზე მშვიდობიანად ცხოვრობენ ებრაელები, სადაც არასდროს ჰქონია ადგილი ანტისემიტიზმს.

ამჟამად ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე ომი მიმდინარეობს, რომელსაც სხვა სახის — საინფორმაციო ომი ერთვის. ვითარების დესტაბილიზაციას დიდად უწყობს ხელს რეგიონში საბჭოთა არმიისა და შინაგანი ჯარების შენაერთების დესტრუქციული, კანონსაწინააღმდეგო მოქმედება. მართალია, ეს შენაერთები მოწოდებულია, არ დაუშვან ორ მხარეს შორის შეტაკებანი, მაგრამ, რეალურად ადგილი აქვს სრულიად საწინააღმდეგო, აშკარად ცალმხრივ მოქმედებას: საჯარისო შენაერთები აქტიურად აიარაღებენ და მხარს უჭერენ ოს ექსტრემისტებს და ანტიქართულ ორგანიზაცია „ადამონ ნიხასს“. მიზანი სავსებით ნათელია — საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის დამუხრუჭება. უფრო მეტიც, ამ ბოლო დროს გახშირდა თვით სამხედროების თავდასხმები ქართულ სოფლებზე —თამარაშენზე, ნიქოზზე, კეხვზე, აჩაბეთზე, ქემერტზე, სვერზე და სხვ. ათასობით ლტოლვილია როგორც ქართული, ისე ოსური ეროვნებისა.

იმპერიული ძალებისა და საჯარისო ნაწილების მხარდაჭერის იმედით, არარსებულმა საოლქო საბჭომ დაადგინა (მესამედ) სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შექმნა და რუსეთთან შეერთება. თავის დროზე სწორედ ამგვარი ანტიკონსტიტუციური ქმედება გახდა ოლქის გაუქმების მიზეზი, რადგან საქმე გვაქვს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების უხეშ დარღვევასთან.

ვითარების სტაბილიზაციისა და სისხლის ღვრის შეწყვეტის მიზნით საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ ამ მცირე ხნის წინ გააუქმა საგანგებო მდგომარეობა ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონში. მაგრამ საბჭოთა არმიისა და შ/ჯარების ნაწილები განაგრძობენ საქართველოს სუვერენული უფლებების შემლახავ უკანონო მოქმედებას, რაც არ იძლევა მდგომარეობის სტაბილიზაციის მიღწევის შესაძლებლობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ, სრულიად საქართველოს ინტელიგენციის დარბაზის წევრები, უმორჩილესად გთხოვთ, ხელი შეუწყოთ სამხრეთ ოსეთის ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე მშვიდობის დამყარებას, რაც ყოვლად წარმოუდგენელია რეგიონიდან საბჭოთა არმიისა და შინაგანი ჯარების გაყვანის გარეშე. გთხოვთ, პატივი სცეთ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს.

ამასთან, სავსებით ვეთანხმებით რა, საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წ. 3 დეკემბრის მიმართვას „გაერო“-სადმი, თხოვნით მივმართავთ ხსენებულ ორგანიზაციას, რათა რეგიონში შექმნილი ვითარების შესწავლის მიზნით მოავლინოს თავისი ექსპერტები.

სრულიად საქართველოს ინტელიგენციის დარბაზი

თბილისი. 1991 წლის 4 დეკემბერი

აკაკი ასათიანი: „იმედი მაქვს, რომ მალე შევუდგები მუშაობას“

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს აკაკი ასათიანს მიეცა შესაძლებლობა გაიაროს მკურნალობის კურსი, რადგან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შიშს იწვევს.

6 დეკემბრიდან აკაკი ასათიანი იმყოფება ქობულეთის სამკურნალო-სარეაბილიტაციო სანატორიუმ „საქართველოში“. სეისის კორესპონდენტთან, თამაზ გენძეხაძესთან შეხვედრის დროს მან განაცხადა:

— ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საავადმყოფო ფურცელზე ვარ. თბილისში ერთი კვირის გამოკვლევის შემდეგ ექიმებმა მირჩიეს ოცდღიანი სამკურნალო კურსი გამევლო ამ სანატორიუმში. ახლა თავს უკეთესად ვგრძნობ. იმედი მაქვს, რომ მალე შევუდგები მუშაობას.

სეისი.

შიდა ქართლი

კაცი, ერთხელ რომ იკადრებს სიცრუეს, ანუ ახალი შეხვედრა ვლადიმერ ეგოროვთან

მიმდინარე წლის 24 ნოემბრის „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ ნომერში ვლადიმერ ეგოროვის შენიშვნის „სოლიდარობა ქედის გადაღმა“ თანახმად, „სასოწარკვეთილი ოსი ლტოლვილები (ასეთი კი დაახლოებით 100 ათასი კაცია) აცხადებენ, რომ მზად არიან ააფეთქონ ოსეთ-საქართველოს გაზსადენი და გამოთიშონ ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც საქართველოსკენ მოემართება“. იბადება კითხვა: საიდან მოიტანა ავტორმა ეს აშკარად გამოგონილი ციფრები ლტოლვილთა რაოდენობის შესახებ? 1989 წლის მოსახლეობის საერთო საკავშირო აღწერის თანახმად, შიდა ქართლში (საბჭოთა ტერმინოლოგიით სამხრეთ ოსეთში) ცხოვრობდა 99.102 კაცი. ესენი არიან როგორც ოსები, ისე ქართველები, რუსები, სომხები, ებრაელები და სხვანი.

ახლა კი ორიოდე სიტყვით მინდა მოგახსენოთ ამ ღვარძლიანი შენიშვნის ავტორზე ვლადიმერ ეგოროვზე. 1989 წლის 9 აპრილს თბილისში საბჭოთა არმიის მიერ მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევის შემდეგ, 28 აპრილს მან გაზეთ „პიონერსკაია პრავდაში“ გამოაქვეყნა რეპორტაჟი სათაურით „აპრილი, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი...“, რომელშიც უხეშად დაამახინჯა მოვლენათა არსი, ცრუ ინფორმაცია მიაწოდა ნორჩ მკითხველებს. ეს ოფიციალურად განუცხადეს თვით „პიონერსკაია პრავდის“ რედაქციას 1989 წლის 6 მაისს. გაზეთის რედაქციამ ბოდიში მოუხადა მკითხველს, აღნიშნა, რომ ვლადიმერ ეგოროვი „ტრაგიკული მოვლენების თვითმხილველი არ ყოფილა“, და ისინი, ვინც მან დაუჭირა და გამოსაქვეყნებლად მოამზადა კორესპონდენცია, დაისაჯნენ.

მაგრამ ეგოროვი და მისთანები კვლავ ამარაგებენ მოსკოვს, და ახლა უკვე „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ დეზინფორმაციით საქართველოს შესახებ. კარგი იქნებოდა, „მოსკოვსკიე ნოვოსტი“ ჩაფიქრებოდა ამას, კაცი, რომ ერთხელ იცრუებს....

რემ დავიდოვი,
საქართველოს ეროვნული ინფორმაციული სააგენტოს მიმომხილველი.

საიდუმლო № 3

7 **დეკემბრის** ღამეს რუსეთის ტელევიზიამ მაყურებელს შესთავაზა გადაცემა სათაურით „სრულიად საიდუმლოდ“ („სოვერშენნო სეკრეტნო“). ამ ტელეჟურნალის სიუჟეტების ქვესათაურები ასეთი იყო: საიდუმლო № 1, საიდუმლო № 2 და ა. შ.

ჟურნალის ბოლო ორი სიუჟეტიდან, რომლებიც ვნახე, შემდეგი დასკვნა გამოვიტანე: გადაცემის მიზანი — აწ უკვე გაცხადებულ სუკის თანამშრომლებთან გულახდილი საუბარი გახლდათ. მაყურებელს უშუალოდ, გულწრფელად, სახეზე ირონიული ღიმილით მოუთხრობდა დაზვერვის ყოფილი ჩინოსანი ამ სისტემაში სამუშაოდ მეძავთა შერჩევის პრინციპზე.

კამერა დროდადრო მზვერავის მსუქანი სხეულიდან მისი შეუდრო ბინის ინტერიერზე ინაცვლებდა. ამით გადაცემის რეჟისორი ოსტატურად ქმნიდა ინტიმურ განწყობილებას და შეპარვით მიგვანიშნებდა, რომ სუკის ექსჩინოსნებისათვისაც კი, ყოველივე ადამიანური უცხო არ არის. ტახტზე წამოწოლილი დაზვერვის უფროსი მეოცნებე სახით იხსენებდა თავის „საამაყო“ წარსულს, გვიამბობდა აწ უკვე გაცხადებულ საიდუმლოებებზე, ღიმილს ჰგვრიდა მეძავი ქალების გახსენება, რომელთაც, თურმე, მხოლოდ მომხიბლავი გარეგნობა როდი ჰყოფნიდათ სუკის „პრესტიჟულ“ სამსახურში ჩასადგომად. სიუჟეტში შიგადაშიგ ჩართული იყო მულტფილმი, სადაც მეძავი მოწღრალი ქალი, სტრატეგიული მიზნით, ექსკლუზივებოდა გამოლენჩებულ მეზღვაურს, ხოლო მამაკაცი (ალბათ, სუკელი) მაგიდის ქვეშ ჩამონტაჟებულ ჩამწერ სისტემას ამოწმებდა.

— სასტუმროების ნომრებში, სადაც უცხოელები ჩერდებოდნენ, მოსასმენი აპარატურა და ფარული კამერები იყო დაყენებული. მომსახურე პერსონალი კი, დაზვერვის მიერ დაკომპლექტებული, — გაგვანდო საიდუმლო ყოფილმა ჩინოსანმა.

ყოველივე ზემოთქმულით თავს არ შეგაწყენდით, რომ მომდევნო სიუჟეტს (საიდუმლო № 3) არ მიეპყრო ჩემი ყურადღება. ეკრანზე გამოჩნდა სიმპათიური მამაკაცი. მასაც, წინა სიუჟეტის მსგავსად, კორესპონდენტი ბინაზე ეწვია. ინტერვიუერი მაგიდასთან იჯდა, კედლებიდან კი, გაკვირვებული სუფთა, უმწიკვლო თვალებით, ფიროსმანის გმირები იცქირებოდნენ.

ეს სიმპათიური მამაკაცი გახლდათ ჩვენი სახელოვანი რეჟისორი და მსახიობი ბატონი გიორგი შენგელაია.

სამშობლოს ბედით დამწუხრებული მამულიშვილი ტრაგიკული სახითა და ხმით ესაუბრებოდა უცხო (ჩვენთვის, ყოველ შემთხვევაში) ქვეყნის კორესპონდენტს, აქიაქებდა მისი ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტს: გამსახურდიას ჯერ თავისუფლება უნდა და მერე, დემოკრატია, ეს სად გაგონილაო, მან პრეფექტები აიძულა სოფლებიდან ხალხი ქალაქში ჩამოერეკათ, ქალაქი და სოფელი ერთმანეთს გადაეკიდაო, საქართველოში პრესის თავისუფლება არ არისო, ჩვენთან (ოპოზიციასთან) დგანან საზოგადოების რჩეულნი: ექიმები, არქიტექტორები და, საერთოდ, განათლებულებიო. უნდა შეიზღუდოს პრეზიდენტის უფლებებიო. ჩვენ პროტესტის ნიშნად ავმართეთ, დავარქვათ ამას ბარიკადებიო (ინტონაცია ისეთი იყო, რა მოხდა მერე, ამით რა დავაშავეთო...).

კორესპონდენტმა ერთადერთი კითხვა დაუსვა ჩვენს სახელოვან მამულიშვილს: გამსახურდიას სსრკ-საგან საქართველოს გამოყოფა უნდა, თქვენ? ჩვენცო, რიხით წარმოთქვა ნასწავლმა ქართველმა, მაგრამ თავისუფლება ტერ-პეტროსიანსაც უნდაო. შემდეგ კი აზრი ასე განავითარა: ტერ-პეტროსიანი არ ავიწროებს, გამსახურდიას მსგავსად ეროვნულ უმცირესობებს (?!).

ამ განცხადების კომენტარი ბუნებაში არ არსებობს.

ბოლოს კორესპონდენტმა რეზიუმე გაუკეთა მათ საუბარს: ყველაფერი, რაც საქართველოში ხდება, ხელისუფლებისათვის ბრძოლა არისო! ეგებ გაუცნობიერებლად, თავისდაუნებურად, მაგრამ უფროსმა ძმამ (მართებულად) შეაფასა ჩვენი დემოკრატების „მოღვაწეობა“ და თავის მოკავშირეს სიმართლე პირში მიახალა მრავალმილიონიანი აუდიტორიის თანდასწრებით.

ნ. დოლიძე

სამინისტრო და პრეფექტურა: ძალისხმევის გაერთიანება წარმატების საწინდარია

საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შედეგად წამოჭრილ პრობლემათა ფართო სპექტრი განიხილეს 10 დეკემბერს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტებთან ერთად მინისტრთა კაბინეტის წევრების სხდომაზე. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე. გაიმართა ცენტრში და ადგილებზე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელთა საქმიანი, მომთხოვნი დიალოგი შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის გზების, იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს, რათა თავიდან ავიცილოთ კარსმომდგარი კრიზისი, უზრუნველვყოთ რესპუბლიკის მოსახლეობის ნორმალური ცხოვრება ზამთრისა და მომავალი გაზაფხულის რთულ პირობებში.

თათბირი გახსნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. მან რესპუბლიკაში შექმნილ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას უაღრესად რთული და დაძაბული უწოდა, რომელიც გამოიწვია კრემლის იმპერიულმა ზეგავლენამ და მასთან დაკავშირებული ოპოზიციის დესტრუქციულმა მოქმედებამ, მოუწოდა ყველას მაქსიმალურად დარაზმონ მთელი ძალები და საშუალებები საქართველოს მიერ სრული დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე წარმოშობილი სიძნელეების დასაძლევად.

შემდეგ სიტყვა აიღო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბესარიონ გუგუშვილმა. მან განსაზღვრა გადაუდებელი ამოცანები და დაწვრილებით შეეხო იმ მიზეზებს, რომლებმაც საქართველოს ეკონომიკა დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანა. კერძოდ, უაღრესად სერიოზული პრობლემის წინაშე დადგა წლეულს რესპუბლიკა, რომელსაც საერთო-საკავშირო ფონდიდან დააკლეს ნახევარი მილიონი ტონა მარცვლეული — თითქმის მესამედი, რაც მას ერგებოდა. მხოლოდ მთავრობის წარმოუდგენელი ძალისხმევის, რესურსებით ოპტიმალური მანევრირების წყალობით ვახერხებდით ამ დეფიციტის შევსებას ისე, რომ არ მოგვემატებინა მთავარი პროდუქტის — პურის ფასები. რესპუბლიკისათვის მკაცრი გამოცდა გახდა მიწისძვრები, რომელთა შედეგების ლიკვიდაცია, თითქმის მილიარდი მანეთით რომ განიზომება, მძიმე ტვირთად დააწვა მის ეკონომიკას. ამას დაემატა ელექტროენერგიის მწვავე ნაკლებობა, ძირითად სახეობათა ნედლეულისა და მასალების ცენტრალიზებულ მოწოდებათა შეწყვეტა, რის შედეგადაც თვეების მანძილზე მოცდენილი იყო მრავალი საწარმო. და ყოველივე ეს ხდება რესპუბლიკაში რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების პირობებში, რომელიც განსაკუთრებით გამწვავდა სექტემბერსა და ოქტომბერში, — ზამთრისათვის მზადების გადამწყვეტ პერიოდში.

გააანალიზა რა მიმავალი წლის შედეგები, პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეკონომიკაში, მოსახლეობის ძირითადი სასურსათო პროდუქტებითა და პირველი საჭიროების საქონლით უზრუნველყოფაში ჩავარდნებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების რესპუბლიკურ, ისე რაიონულ და რეგიონალურ ორგანოებს. აღინიშნა, რომ ადგილებზე საკმარისად არ იყენებენ არსებულ რეზერვებს. ნაკლებად ზრუნავენ საკუთარი რესურსების შექმნისათვის, საერთო-რესპუბლიკურ ფონდში მათი მიწოდებებისათვის შემდგომი გაცვლითი ოპერაციების განსახორციელებლად. სწორედ ამიტომ მთავრობას მოუხდა გაეყინა ისეთი სტრატეგიული რესურსები, როგორიც არის ჩაი, ღვინო, კონიაკი, შამპანური და სხვა, რათა გამოიყენოს ისინი ბარტერული გარიგებებისათვის რესპუბლიკაში უწინარესად მარცვლეულის, რძის ფხვნილის, ხორცის, კარაქის, შაქრისა და სხვა მეტად საჭირო სურსათ-სანოვაგის, აგრეთვე სათბობის, საშენი მასალების შემოტანის მიზნით. პრემიერ-მინისტრმა სამართლიანად გააკრიტიკა ის რაიონები, რომლებიც სათანადოდ არ სწავლობენ ბაზრის კონიუნქტურას და საქართველოს ფარგლებს გარეთ გააქვთ ძვირფასი ნედლეული და პროდუქცია, სანაცვლოდ კი შემოაქვთ არა სურსათი, რომელიც ასე სჭირდება დღეს რესპუბლიკას, არამედ ტელევიზორები, მაგნიტოფონები, ლუდი ან საბჭოთა მანეთები, ყოველდღიურად რომ უფასურდება.

ახლა ინგრევა არა მარტო ყოფილი სსრ კავშირის პოლიტიკური სისტემა, არამედ მისი ეკონომიკაც, ითქვა თათბირზე. მშვიდად ვერ ვუყურებთ იმას, თუ როგორ ანგრევს იმპერია რესპუბლიკის ეკონომიკას. აი რატომ მიმართავს საქართველოს მთავრობა ყოველ ღონეს კავშირის ყოფილ რესპუბლიკებთან, დასავლეთის ქვეყნებთან პირდაპირი კავშირურთიერთობის დამყარებისათვის. მაგრამ, კისრულობს რა შესაბამის ვალდებულებებს, მას უნდა ჰქონდეს მათი შესრულების რეალური გარანტიები. და აქ ვერაფერს გავხდებით ქალაქებსა და რაიონებში შექმნილ რესურსებზე დაყრდნობის გარეშე, პრეფექტურების მხრიდან აქტიური დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მხოლოდ სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ერთობლივი ძალისხმევით, მხოლოდ საგანგებო ღონისძიებათა განხორციელებით შეიძლება გამოვიყვანოთ რესპუბლიკა ამ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან, რომელშიც იგი მიმავალი წლის ბოლოს აღმოჩნდა.

ამაზე ილაპარაკეს მინისტრებმა სოფლის, სატყეო მეურნეობისა და კვების მრეწველობისა — ნოდარ ჭითანავამ, ელექტროენერგეტიკისა — გრიგოლ გოგავამ, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფისა — მანანა ძოძუაშვილმა, მატერიალური რესურსებისა — იგორ ჩხეიძემ. მათ აგრეთვე თათბირზე გამოსულმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ გურამ ჭარშალომიძემ, ქალაქებისა და რაიონების პრეფექტებმა დამსწრეთ მოახსენეს საქმის მდგომარეობა თავიანთ დარგებსა და რეგიონებში, ერთმანეთს გაუზიარეს აზრი, გამოთქვამდნენ კონკრეტულ წინადადებებს წლევანდელ ზამთარში და მომავალი წლის გაზაფხულზე სურსათის სათბობ-ენერგეტიკული და სხვა რესურსების შესაძლო დეფიციტის პირობებში რესპუბლიკის სამეურნეო კომპლექსის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ. საგნობრივი სჯა-ბაასი გაიმართა იმის შესახებ, რომ საჭიროა ამ რესურსების რაციონალური გამოყენება, ყველგან და ყველაფერში ეკონომიისა და მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმის შემოღება, რომ უნდა შემუშავდეს ერთობლივი მოქმედების ზუსტი პროგრამა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს რესპუბლიკის ნორმალური ცხოვრება.

სეისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ზოგიერთი საარჩევნო ოლქის გაუქმებისა და საარჩევნო ოლქების საზღვრების ცვლილებების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში შეტანილი ცვლილებებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 3 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო ოლქების საზღვრების შეცვლის საკითხი, რაც დაკავშირებულია საარჩევნო ოლქების რაოდენობის ხუთი ოლქით შემცირებასთან.

ითვალისწინებს რა იმას, რომ 19 ოლქში დაწყებულია საარჩევნო პროცესი, ერთ ოლქში (შულავერის №46 საარჩევნო ოლქში) გაუქმებულია არჩევნები რაიონში შექმნილი რთული კრიმინოგენული მდგომარეობის გამო, ხოლო 4 ოლქში (ქ. ცხინვალის №121, ჯავის №123, ტყვარჩელის №103 და გუდაუთის №106 საარჩევნო ოლქები) მაჟორიტარული წესით დეპუტატები ვერ აირჩა, ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

1. გაერთიანდეს მარნეულის რაიონის შულავერის №46 და მარნეულის №45 საარჩევნო ოლქები და ეწოდოს მას მარნეულის №45 საარჩევნო ოლქი.

2. გაერთიანდეს ქ. ცხინვალის №121, ცხინვალის რაიონის №122 და ჯავის №123 საარჩევნო ოლქები და ეწოდოს მას ცხინვალის №122 საარჩევნო ოლქი.

3. გაერთიანდეს ტყვარჩელის №103 და ოჩამჩირის №109 საარჩევნო ოლქები და ეწოდოს მას ოჩამჩირის №109 საარჩევნო ოლქი.

4. გაერთიანდეს გუდაუთის №106 და ბიჭვინთის №105 საარჩევნო ოლქები და ეწოდოს მას ბზიფის №105 საარჩევნო ოლქი.

5. გაუქმდეს შულავერის №46, ქ. ცხინვალის №121, ჯავის №123 და გუდაუთის №106 საოლქო საარჩევნო კომისიები.

6. პოლიტიკურ პარტიებს და საარჩევნო ბლოკებს, რომლებსაც დანიშნული ჰყავდათ წევრები გაუქმებულ საოლქო საარჩევნო კომისიებში და არ ჰყავთ წევრი იმ საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელთანაც მოხდა შესაბამისი საარჩევნო ოლქის გაერთიანება, უფლება მიეცეთ დანიშნონ წევრები ამ საოლქო საარჩევნო კომისიაში „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლით განსაზღვრულ ვადებში.

7. მარნეულის №45, ცხინვალის №122, ოჩამჩირის №109 და ბზიფის №105 საარჩევნო ოლქებს დაუდგინდეს შემდეგი საზღვრები:

ა) მარნეულის №45 საარჩევნო ოლქს — მარნეულის რაიონის ტერიტორია;

ბ) ცხინვალის №121 საარჩევნო ოლქს — ყოფილი №121 საარჩევნო ოლქის, ქ. ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიები;

გ) ოჩამჩირის №109 საარჩევნო ოლქს — ოჩამჩირის რაიონისა და ქ. ტყვარჩელის ტერიტორიები;

დ) ბზიფის №105 საარჩევნო ოლქს — ყოფილი №105 საარჩევნო ოლქისა და გუდაუთის რაიონის ტერიტორიები.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე
ა. ჟირაძაძე.

1991 წლის 10 დეკემბერი.

საზღვარგარეთ

უკრაინის, ბელორუსიისა და რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელების დეკლარაციას სლავური რესპუბლიკების თანამეგობრობის შექმნის შესახებ ფართო გამოხმაურება აქვს შეერთებულ შტატებში. თეთრი სახლის პრეს-მდივანი მარლინ ფიცუოტერი მიესალმა ახალი თანამეგობრობის დაბადებას და თქვა, რომ შეერთებული შტატები ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღმოცენებულ ყველა გაერთიანებასთან ითანამშრომლებენ, რომლებიც ხალხის ნება-სურვილის გამომხატველი იქნებაო. გაზეთი ნიუ-იორკ თაიმსი“ დიდ შეშფოთებას გამოთქვამს საბჭოთა კავშირის ძალიან სწრაფი დეზინტეგრაციის გამო და მიუთითებს, რომ უკვე ამ ზამთარს მოსალოდნელია უმართავი პროცესები განვითარდესო. შეერთებული შტატების ელჩი მოსკოვში რობერტ შტრაუსი უფრო შორს წავიდა და თქვა, რომ საბჭოთა კავშირში ამჟამად ყველა სიმპტომი არის, რომ ფაშისტური გადატრიალება მოხდესო. პოლიტოლოგ თომას ფრიდმანის აზრით საბჭოთა კავშირში პოლიტიკური პროცესები ისე სწრაფად მიმდინარეობს, რომ შეერთებული შტატების მოსკოვთან მიდგომა ყოველ წამს კორექტირებას მოითხოვსო. მარგარეტ ტატუაილერის აზრით მთავარი პრობლემა არის საბჭოთა კავშირის ბირთვული პოტენციალის შემდგომი კონტროლიო. ადმირალი დევიდ ჯერემი ამბობს: ძალიან კარგია, რომ ამერიკამ კომუნიზმზე სწრაფი და ეფექტური გამარჯვება მოიპოვა, ახლა საჭიროა ყოფილ საბჭოთა კავშირში დემოკრატიული საზოგადოების აშენებაო. სოვეტოლოგ რიჩარდ პაიპსის აზრით, ბელორუსიის დეკლარაციას მომავალი აქვს. იგი იმიტომ შეიქმნა, რომ ბელორუსიის, უკრაინისა და რუსეთის ხელმძღვანელები დარწმუნდნენ, რომ გორბაჩოვს აღარ ძალუძს მართოს გარდაქმნის პროცესებიო.

მომავალ კვირას შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი კიევს, მინსკსა და მოსკოვს ეწვევა, რათა შეხვდეს კრავჩუკს, შუშკევიჩს, ელცინსა და გორბაჩოვს. არ არის გამორიცხული, რომ ბეიკერი სხვა რესპუბლიკების დედაქალაქებსაც ეწვიოს, კერძოდ, ალმაატას.

პოლანდიის ქალაქ მაასტრიხტში, სადაც ევროპის თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების მთავრობათა მეთაურების სესია მიმდინარეობს, ბელორუსიის შეხვედრასთან დაკავშირებით გაავრცელეს დეკლარაცია. მასში აღნიშნულია, რომ ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა სასურველია, რომ უფრო ახლოს ითანამშრომლონ ერთმანეთთან, გააკონტროლონ ბირთვული პოტენციალი, შეიმუშაონ საბჭოთა კავშირის საგარეო ვალის გადახდის მექანიზმი და გადაჭრან ეთნო კონფლიქტები.

საპდსის, რეიტერისა და ბი-ბი-სის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ ყარაბაღში ჩატარებული რეფერენდუმის დროს 7 სომეხი მოქალაქე მოკლეს.

სეულში ერთმანეთს შეხვდნენ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ხელმძღვანელები ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის თაობაზე. ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჩვენს ტერიტორიაზე არსებული ბირთვული ობიექტების ინსპექციის უფლებას მანამდე არ მივცემ, სანამ სამხრეთ კორეიდან ბირთვულ იარაღს არ გაიტანენო.

შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ამჟამად კი გაეროს სპეციალური ექსპერტი იუგოსლავიაში საირუს ვენსი ვაშინგტონში ესაუბრა გაეროს გენერალურ მდივანს ხავიერ პერეს დე კუელიარს. ვენსმა გენერალურ მდივანს ურჩია, რომ ამჟამად ხორვატიაში გაეროს სპეციალური დანიშნულების ჯარების გაგზავნა არ ღირს, რადგან ბრძოლა სერბებსა და ხორვატებს შორის გრძელდებაო. ამ დღეებში ორივე მხარემ 600 სამხედრო ტყვე ჯარისკაცი გაცვალეს. ეს პროცესი გრძელდება. ბი-ბი-სის ცნობით ფედერალური არმია კვლავ ცეცხლს უშენს ხორვატთა ქალაქ ოსიეკს.

გასწორება

ჩვენი გაზეთის 10 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელშიც გამოტოვებულია 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 30-ე მუხლი. გთავაზობთ გამორჩენილ ტექსტს:

3) ამ უფლებებისა და თავისუფლებათა განხორციელება არაფრით არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

მუხლი 30. ამ დეკლარაციაში არაფერი არ უნდა განიმარტოს ისე, რომ მიეცეს უფლება რომელიმე სახელმწიფოს, პიროვნებათა დაჯგუფებას თუ ცალკეულ პირებს აწარმოონ რაიმე საქმიანობა ან იმოქმედონ იმ უფლებათა და თავისუფლებათა გასანადგურებლად, რაც ჩამოყალიბა მოცემულმა დეკლარაციამ.

განვიხილავთ კანონპროექტს

რაც დროულად მისახედია

დღეს ქალაქად და სოფლად პრივატიზაციის პრობლემებია წამოჭრილი და ისახება გზები მის განსახორციელებლად. რთული ამოცანაა გადასაწყვეტი მიწების — სოფლის მეურნეობის ძირითადი საწარმოო სიმძლავრის პრივატიზაციის მხრივ.

გამოქვეყნებულ კანონპროექტში „მიწის რეფორმის შესახებ" თვალნათლივ არის მოცემული მიწათმფლობელობის პირობები. მე მხოლოდ კანონის მე-11 პუნქტს მინდა შევეხო, სადაც ლაპარაკია მიწის სახელმწიფო საკუთრებაზე, განსაკუთრებით კი მელიორირებულ მიწებზე. როგორც ცნობილია, საქართველოში სარწყავი მიწათმოქმედება უძველესი დროიდან იყო დამკვიდრებული. დღემდე შემორჩენილია თამარ მეფის დროინდელი და უფრო ადრინდელ პერიოდში გაყვანილი არხების ნაშთები. ისტორიას შემორჩა მასალები იმის შესახებ, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ დიდი ზარალი მოუვიდა სარწყავ მიწათმოქმედებას. უპატრონობისგან მრავალი არხი გაუქმდა და მწყობრიდან გამოვიდა, ნაყოფიერი სარწყავი მიწები კი უდაბნოებად იქცა. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ფართოდ გაიშალა სარწყავი სისტემების მშენებლობისა და კოლხეთის ჭაობების დაშრობის სამუშაოები.

ამჟამად მელიორირებული მიწების ფონდი 600 ათას ჰექტარს აჭარბებს, აქედან 450 ათასი ჰექტარი სარწყავია. მთლიანად მელიორირებული მიწებიდან 70 ათასამდე ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთებია, დანარჩენი სახელმწიფო მიწებია. როგორც „მიწის რეფორმის შესახებ" კანონპროექტის მე-11 პუნქტშია განმარტებული „...სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს ის მიწები, რომელთაც სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ, აგრეთვე ის მიწები, რომელთა ნაყოფიერების ამაღლებისათვის, მელიორაციისათვის ან სხვაგვარი ღონისძიებებისათვის სახელმწიფოს გაღებული აქვს სახსრები. ეს მიწები შეიძლება გაიცეს იჯარით მიწათმოსარგებლეებზე ან ფიზიკურ პირებზე მფლობელობაში მემკვიდრეობის უფლებით". მაშასადამე, ცხადია, ფიზიკური პირებისათვის მელიორირებული სახელმწიფო მიწების საკუთრებად გადაცემა კანონით არ იქნება გათვალისწინებული, რაც ნამდვილად მართებულია და ტექნიკური თვალსაზრისით სწორად მიგვაჩნია. აი, რატომ: ცხადია, მელიორირებული მიწების მასივებზე განლაგებულია სარწყავი და დამშრობი სისტემების სხვადასხვა კატეგორიის არხები: მაგისტრალური, სამეურნეობათაშორისო და შიგასამეურნეო გამანაწილებელი და წყალშემკრებები, სხვადასხვა სახის საინჟინრო ჰიდროტექნიკური ნაგებობებით და მესაკუთრეებისათვის ამ მასივების ცალკეულ ნაკვეთებად დაქუცმაცება გამოიწვევდა როგორც სარწყავი, ისე დამშრობი სისტემების მოშლას, არხების მწყობრიდან გამოსვლას, სარწყავი წყლის მწვავე დეფიციტს, წყალსარგებლობის წესების უხეშად დარღვევის შემთხვევებს. ამასთან დაისმებოდა მილიარდ მანეთზე მეტად ღირებული სარწყავი და დამშრობი სისტემების ხელახალი გადაკეთების — რეკონსტრუქციის აუცილებლობის საკითხი, რაც დიდი სახსრების გაღებასთან არის დაკავშირებული.

რაც შეეხება მელიორირებული მიწების იჯარით გაცემას — აქ კი საჭიროა მეტი სიფრთხილე და წინდახედულება, რომ არ მივიღოთ ისეთივე მოსალოდნელი უწესივრობა, როგორც ზემოთაა მოხსენებული. მით უმეტეს არის ფაქტები იმისა, რომ ზოგიერთ რაიონში დღევანდელი მეიჯარენი უდიერად ეპყრობიან მელიორირებულ მიწებზე გამავალ როგორც სახელმწიფო, ისე შიგასამეურნეო სარწყავ და დამშრობ არხებს. მასზე აგებულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს, არ ემორჩილებიან წყლის განაწილების გრაფიკს, ხელშეკრულებაშიც არ არის გათვალისწინებული მხარეების მხრიდან სათანადო პასუხისმგებლობა მსგავს დარღვევებზე, რაც ართულებს სარწყავი და დამშრობი სისტემების ნორმალურ ექსპლუატაციას. საბოლოო ანგარიშით ზარალობს როგორც სახელმწიფო, ისე მეიჯარე. ასეთი დარღვევები რომ არ მოხდეს, საჭიროა წინასწარ გავითვალისწინოთ ყოველივე ზემოთთქმული და დავაკანონოთ როგორც წესი, რომ სახელმწიფო მეურნეობების მიწების საზღვრები კომპაქტურად უნდა მოეწყოს სარწყავი და დამშრობი სისტემების მაგისტრალურ და გამანაწილებელ არხებთან, ამასთან იჯარით გაცემულ მიწებზე რაც შეიძლება მცირე უნდა იყოს წყლის აღების წერტილები სარწყავი არხებიდან, მით უმეტეს დღეს თუ ხვალ სარწყავი წყლით სარგებლობა ფასიანი გახდება.

მელიორირებული მიწების იჯარით გაცემა უნდა მოხდეს სარწყავი და დამშრობი სისტემების ექსპლუატაციის საწარმოო სამმართველოებთან შეთანხმებით — ტექნიკური პირობების დაცვით. საჭიროდ ვთვლით კანონპროექტის მე-12 მუხლს დაემატოს აბზაცი: — მელიორირებული მიწების იჯარით გაცემა მოხდეს სათანადო ტექნიკური პირობების დაცვით.

„მიწის რეფორმის შესახებ" კანონის მიღებასთან პარალელურად საჭიროა მომზადდეს კანონი მელიორირებული მიწების ათვისებისა და გამოყენების და სარწყავი და დამშრობი სისტემების ექსპლუატაციის წესების შესახებ. რაც ხელს შეუწყობს მელიორირებულ მიწებზე მაღალი და გარანტირებული მოსავლის მიღებას.

ალექსი მიმინოშვილი,
რესპუბლიკის დამსახურებული მელიორატორი.

თვალსაზრისი

ჰიდროენერგომშენებლობის ასპექტები

საქართველოს საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ უკანასკნელ პერიოდში, მეტადრე 1987-1989 წლებში, საქართველოში მწვავედ აკრიტიკებდნენ წყალსაცავებისა და წყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას. ამისათვის გამოყენებული იყო მასობრივი ინფორმაციისა და სხვა საშუალებანი: რესპუბლიკური და ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები, რადიო, ტელევიზია, სპეციალურად გამართული მიტინგები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები და სხვ.

ჰიდროელექტროსადგურებისა და ყოველგვარი წყალსაცავების მშენებლობის მოწინააღმდეგეთა შორის სავსებით ნათლად გამოიკვეთა კატეგორიულ უარმყოფელთა გარკვეული წრე, რომელმაც მიიქცია ჩვენი საზოგადოების ყურადღება. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ გარემოებამ საზოგადოების გარკვეული ნაწილი ნეგატიურად განაწყო ჰიდროენერგეტიკული და წყალსამეურნეო მშენებლობებისადმი, რაც ერთობ დასანანია. და მით უფრო იმიტომ, რომ ემოციებს აყოლილთ მოგვიდუნდა გონიერების სიფხიზლე. ვფიქრობთ, საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ცალმხრივი, ხშირად ტენდენციური ინფორმაციების გავლენის ქვეშ მოექცა, მალე დარწმუნდება ან შეიძლება კიდევაც დარწმუნდა, რომ ის წინადადებანი, რომელთაც „უარმყოფელნი" გვთავაზობენ, მიუღებელია საქართველოსათვის როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი ქვეყნისათვის.

საქართველოს დღეს საკმაოდ რთული ეროვნული პრობლემები აქვს გადასაწყვეტი, მრავალი საზრუნავი გაუჩნდა ცალკეულ რეგიონებში და ამდენად გაუმართლებლად მიგვაჩნია მიტინგებისა თუ დისკუსიების ისეთი ფორმით წარმართვა, როგორიც გამოვლინდა ხუდონჰესისა და სხვა ჰიდროენერგეტიკული და წყალსამეურნეო მშენებლობის ობიექტების (მდ. რიონზე ნამახვანის ჰესების კასკადის, ლაკბეს, ილტოს წყალსაცავების), ხოლო ამ ბოლო დროს მდ. არაგვის ხეობაში მშენებარე ჟინვალის ჰიდროკომპლექსისა და მაგისტრალური გაზსადენის მაგალითებზე. უკანასკნელ შემთხვევაში მიტინგები თუ ეგრეთ წოდებული სემინარები ეწყობოდა მთის სოფლების აღორძინების ეგიდით, მაგრამ ფაქტობრივად ეს ღონისძიებანი მიმართული იყო დედაქალაქისათვის მეტად მნიშვნელოვანი წყალსამეურნეო-ენერგეტიკული დანიშნულების წყალსაცავის წინააღმდეგ, რომელსაც ჯერ კიდევ არ მიუღწევია საპროექტო დონისათვის იმის გამო, რომ მიწის ნაკვეთებისა და სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების შენარჩუნების მიზნით წყალსაცავის დატბორვის ზონიდან არ გადის იქ მოსახლე რამდენიმე ოჯახი. არადა, მახლობელ ადგილებში მათთვის უკვე კარგა ხანია აგებულია საცხოვრებელი შენობები და გამოყოფილია მიწის ნაკვეთები. სამწუხაროა, რომ მათ არ ესმით და არც სურთ გაიგონ იმ საშიშროების ამბავი, რაც ემუქრებათ დიდი (კატასტროფული) წყალდიდობისა თუ წყალ მოვარდნის დროს, თუნდაც წყალსაცავის დღევანდელი შეზღუდული წყლის დონის პირობებში.

არ გამოგვადგება ჩვენი საინჟინრო ტექნიკური საზოგადოებრიობისადმი (რომელსაც ზოგჯერ „ტექნოკრატიასთან" აიგივებენ) უნდობლობის ტენდენციების გაღრმავება. იგი იყო და კვლავაც დარჩება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ფუძემდებლური დარგების მესაძირკვლე.

უდავოა, რომ დღემდე ჰიდროენერგეტიკულ და წყალსამეურნეო მშენებლობებში, მართლაც, არასაკმარისი ყურადღება ექცეოდა ეკოლოგიურ ასპექტებთან დაკავშირებულ ბუნების დაცვით ღონისძიებებს, მაგრამ ეს უწინარეს ყოვლისა ათეული წლების მანძილზე ქვეყნის სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკით იყო განპირობებული და არა ეგრეთ წოდებული ტექნოკრატიის „ბარბაროსებით", თუ უპასუხისმგებლობით. ცხადია, ცალკეული შეცდომები ტექნიკურ გადაწყვეტებში, სამუშაოთა შესრულების დაბალი ხარისხი და სხვა ხარვეზები არ შეიძლებოდა მთლიანად გამორიცხული ყოფილიყო საქართველოს ჰიდროტექნიკური მშენებლობის პრაქტიკიდან. აქედან გამომდინარე, ასეთი ხარვეზებისაგან არც მომავალში ვიქნებით დაზღვეული, თუ ტექნიკურმა პროგრესმა და საზოგადოებრიობის გაზრდილმა ეკოლოგიურმა მოთხოვნილებებმა სასიკეთო ძვრა არ შეიტანა ამ საქმეში.

სადავოდ არ მიგვაჩნია, რომ საინჟინრო ეკოლოგიის მოთხოვნილებათა გათვალისწინება კაპიტალურ მშენებლობაში, სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგში, დროის მოთხოვნაა, რომ პრობლემა გლობალურია და იგი მეტნაკლებად ეხება მსოფლიოს ყველა ქვეყანას, მათ შორის საქართველოსაც. მაგრამ, ამასთანავე, არ უნდა დავუშვათ უკიდურესობანი: ცალკეული მშენებარე, თუ საექსპლუატაციოდ გადაცემული ობიექტის ლიკვიდაცია არამართებული, ცალმხრივი დაწოლის ზეგავლენით. მიგვაჩნია, რომ საქართველოში არ გვაქვს სალიკვიდაციო არც მძლავრი ჰიდროელექტროსადგური იმ მიზეზით, რომ მის კაშხალს (წყალსაცავს) გარღვევის საშიშროება ემუქრება, და არც მშენებარე ჰიდროენერგეტიკული თუ წყალსამეურნეო-ირიგაციული დანიშნულების ობიექტები, რომელთა განხორციელება გამოუსწორებელ ეკოლოგიურ ზიანს მიაყენებდა ჩვენს ბუნებას. შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ ცალკეული ობიექტების შესახებ, რომელთა მშენებლობის პროექტებში არ არის საკმარისი მოცულობით გათვალისწინებული ბუნების დაცვისა და დაზიანებული ლანდშაფტების რეკულტივაციის ღონისძიებანი, ეკოლოგიური ასპექტები. ასეთი საკითხები უნდა დამუშავდეს და გადაწყდეს მშენებლობის პროცესში მისი რამდენადმე დაყოვნების ან ხანმოკლე შეჩერების ხარჯზე. ჩვენ ისე მდიდარი როდი ვართ, რომ არაფრად მივიჩნიოთ და გულგრილად ხელი ჩავიქნიოთ ჰიდრომშენებლობებში ჩადებულ ასეულ მილიონობით მანეთ კაპიტალდაბანდებებზე. გვაქვს კი ამისათვის განსაკუთრებით სერიოზული საფუძველი? მიგვაჩნია, რომ ამის საფუძველი ჩვენ არ გვაქვს.

გვაპატიოს ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელსაც ნებსით თუ უნებლიეთ წვლილი აქვს საქართველოში შექმნილი ენერგეტიკული კრიზისის გაღრმავებაში, რომელიც, როგორც ჩანს ისედაც მოხდებოდა საბჭოთა კავშირის დემონტაჟის მიმდინარე პროცესში, მაგრამ არა ისეთი მკვეთრი ფორმით, როგორიც ბოლო ორი წლის მანძილზე. საქმე ის არის, რომ ხუდონჰესის მშენებლობის ლიკვიდაციით გამოუსწორებელი ზიანი მივაყენეთ საქართველოს ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის საქმეს საერთოდ, ხოლო კერძოდ, მის მშენებელთა მწყობრ კოლექტივს, რომელიც ჩამოყალიბდა ენგურის მძლავრი ჰიდროელექტროსადგურისა და მის გამყვან წყალსატარზე (მდ. ერისწყლიდან შავ ზღვამდე) შექმნილი ოთხი ვარდნილჰესის კასკადის მშენებლობის ხანგრძლივ პროცესში. ასეთი მდიდარი პრაქტიკული გამოცდილების მქონე დიდი ჰიდროსამშენებლო ორგანიზაცია ამჟამად ფაქტობრივად დაშლილია, ან თუ სულდგმულობს, მხოლოდ პროფილშეცვლილი. ობიექტის მიმართ წარმოქმნილ გართულებულ სიტუაციებს სიღრმეში რომ ჩავწვდომოდით, უკიდურესად მკაცრ და მოულოდნელ გადაწყვეტილებას არ მივმართავდით. და მით უფრო იმიტომ, რომ მშენებლობაში უკვე დაბანდებული იყო 150 მილიონ მანეთზე მეტი. ასეთი გადაწყვეტილება რომ არ მიგვეღო, უთუოდ მოესწრებოდა ხუდონჰესის პირველი რიგის ერთი ან ორი აგრეგატის მონტაჟი და ამუშავება, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა ელექტროენერგიის არსებულ მკვეთრ დეფიციტს. ჰესების მშენებლობის მიმართ ჩვენი უარყოფითი პოზიციის გამო „ცენტრმა" შეწყვიტა ხუდონჰესის მშენებლობისა და ნამახვანჰესის ზედა საფეხურის (ტვიშიჰესის) მშენებლობის დასაწყებად საჭირო დაფინანსება. ჩვენის აზრით, მშენებლობა არ უნდა შეგვეწყვიტა, იგი უნდა შეგვენელებინა, ხოლო ზოგიერთი სამუშაო შეგვეჩერებინა ეკოლოგიურ ასპექტებთან დაკავშირებულ გამოკვლევათა დასრულებამდე, რაც 2-3 წლამდეც შეიძლება გაგრძელებულიყო. დღეისათვის ეს გამოკვლევები უკვე დასრულებულია საკმაოდ დადებითი შედეგებით. ამით შევინარჩუნებდით ჰიდრომშენებელთა ძირითად ბირთვს და საქმესაც რამდენადმე წინ წავწევდით, განა ცოტა რამ იყო შესასრულებელი ხუდონჰესის სამშენებლო მოედანზე?

რამდენიმე სიტყვა იმ გარემოებათა შესახებაც, რამაც გამოიწვია ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის მხრივ მძაფრი კრიტიკა, რომელიც შეეხო სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგს, მათ შორის განსაკუთრებით ჰიდროენერგეტიკულ და წყალსამეურნეო მშენებლობებს და მათთან დაკავშირებულ ეკოლოგიურ და დემოგრაფიულ ასპექტებს. საქმე ის არის, რომ საზოგადოების აღნიშნული ნაწილი, რომელშიც განსაკუთრებით მწვანეთა მოძრაობის წარმომადგენლები გამოირჩევიან, არ ფარავენ თავიანთ გულისწყრომას საქართველოში მშენებარე წყალსაცავების წინააღმდეგ იმის მიუხედავად, თუ რა დანიშნულება ექნებათ მათ სახალხო მეურნეობისათვის. ამ თვალსაზრისით ძირითადი მახვილი მიმართულია, უწინარეს ყოვლისა, წყალსაცავიან ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ საქართველო მცირემიწიანი რესპუბლიკაა და „სადა აქვს მას დასატბორი მიწები და საძოვრები, დასაძირი ტყეები" და ა. შ. ამას ემატება ისიც, რომ შედარებით დიდი წყალსაცავების ფარგლებში იქმნება მიკროკლიმატი, რომელიც ერთგვარ გავლენას ახდენს მიმდებარე ტერიტორიის კლიმატზე სანაპირო ზოლიდან, დაახლოებით 2-3 კილომეტრის ფარგლებში (აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებისათვის ფრიად დადებით გავლენას). ასევე წყალსაცავის შეტბორვის დიდი სიმაღლის შემთხვევაში არ არის გამორიცხული ეგრეთ წოდებული „აღძრული მიწისძვრების" წარმოშობა, რომ წყალსაცავების შექმნით დასავლეთ საქართველოს მდინარეებს ვეღარ შეაქვთ შავ ზღვაში მყარი ნატანის საჭირო რაოდენობა და ამის შედეგად ირღვევა მისი პლაჟების წარმოქმნისა და შენარჩუნების პროცესები (თუმცა, ამ პროცესებზე ზღვის სანაპირო დინება, ანთროპოგენული ზემოქმედებანი და სხვა ფაქტორებიც ახდენენ გავლენას).

თუ მართლაც, წყალსაცავების შექმნის საკითხს მხოლოდ ნეგატიური თვალთახედვით შევაფასებთ და არაფრად მივიჩნევთ მათ უაღრესად მნიშვნელოვან დადებით მხარეებს (მდინარის ნაკადის ენერგეტიკული, წყალსამეურნეო, სასმელი და ტექნიკური წყალმომარაგებისა და სხვა დანიშნულების რეგულირება), რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ საქართველოს ჰიდროენერგეტიკის განვითარებისათვის, სარწყავი მიწათმოქმედებისა და მევენახეობის გაფართოებისათვის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და მეცხოველეობის ფერმების წყლით უზრუნველყოფისათვის და სხვ. თუ ასევე უგულებელვყოფთ წყალსაცავების სხვა მრავალ სასიკეთო მხარეებს (წყალდიდობათა შეკავება და ქვედა ბიეფების მიმდებარე ტერიტორიათა დაცვა მოსალოდნელი წალეკვისაგან, თევზსამეურნეო, სარეკრიაციო და სხვა მიზნებისათვის გამოყენება), მაშინ ქართველი საზოგადოებრიობის თვალში, მართლაც, ერთობ საძრახის პოზიციაში აღმოჩნდებოდა ჰიდროენერგეტიკული და წყალსამეურნეო დაპროექტებისა და მშენებლობის დარგების წამყვანი სპეციალისტები: ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსები, მეცნიერები, მკვლევარები, სათანადო საპროექტო, სამშენებლო, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ასე არ არის, წყალსაცავებს ქმნიან და მომავალშიც შექმნიან ყველა ცივილიზებულ და განვითარებად ქვეყანაში, რომელთაც ამისათვის გააჩნიათ სათანადო წყლის რესურსები, მიუხედავად იმისა, თუ რა ფართობის ტერიტორია უჭირავთ მათ გეოგრაფიულ რუკაზე.

წყალსაცავების შექმნასთან დაკავშირებით შესაბამისი რეგიონების მცხოვრებთა შეშფოთებას კლიმატის მოსალოდნელი შეცვლისა თუ „აღძრული მიწისძვრების" თაობაზე, ვერ გავიზიარებთ. საქმე ის არის, რომ პირველი უმნიშვნელო ფარგლებში მერყეობს და ისიც მხოლოდ მიკრორაიონში და არა წყალსაცავიდან 50-80 კილომეტრის დაშორებით. ასე რომ, არც მოქმედი და არც პროექტით გათვალისწინებული წყალსაცავები ადამიანის ჯანმრთელობას არ ემუქრება. „აღძრული მიწისძვრებიც" არ უნდა გვაფიქრებდეს, რადგან თანამედროვე ტექნიკურ შესაძლებლობათა პირობებში მათი კერები შეიძლება „განიმუხტოს". მაშასადამე, დღის წესრიგშია ჩვენი ჰიდრომშენებლობის პრაქტიკაში თანამედროვე ტექნიკური მიღწევის დანერგვის საკითხი. ყოველ შემთხვევაში, ესეც რომ არ იყოს, „აღძრულ მიწისძვრას" ისევე დაუზიანებელი მიიღებს სეისმომედეგი ჰიდრონაგებობა, როგორც ჩვეულებრივ, სიღრმისეულ (ტექტონიკური წარმოშობის) მიწისძვრას.

საქართველოში არსებული წყალსაცავებიდან მოცულობით შედარებით ყველაზე დიდია (1,11 მლრდ კუბური მეტრი) ენგურჰესის წყალსაცავი — 13,5 კვადრატული კმ ზედაპირის ფართობით, რომელიც მოქმედი საერთაშორისო კლასიფიკაციის შესაბამისად მცირე წყალსაცავებს განეკუთვნება. რაც შეეხება ხუდონჰესის წყალსაცავს, რომლის მშენებლობა 1989 წელს შეწყდა, პროექტით მისი სარკის ზედაპირის ფართობი შეადგენს 5,2 კვადრატულ კილომეტრს. როგორც ვხედავთ, არც ერთია „გიგანტური", არც მით უფრო მეორე. პერსპექტივაში ორი ზემოხსენებული ჰიდროელექტროსადგურის ტოლფასი სიმძლავრის წყალსაცავიანი ჰესების მშენებლობა გამორიცხულია. ასე რომ, ჩვენი საზოგადოებრიობის იმ ნაწილს, რომელმაც შეშფოთება გამოთქვა ეგრეთ წოდებული „გიგანტური" წყალსაცავების თაობაზე, შეუძლია დამშვიდებული იყოს. რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე დავძენთ, რომ პრესაში და ზოგიერთ პერიოდულ გამოცემაში წამოყენებული „ბრალდება" საქართველოს ჰიდროენერგეტიკულ მშენებლობაში „გიგანტომანიით გატაცების" თაობაზე არათუ უმართებულო, აბსურდულადაც მიგვაჩნია. ასეთი ტექნიკური ლაფსუსი მხოლოდ არასპეციალისტს თუ ეპატიება.

წყალსაცავის შესაქმნელად შვეიცარიის ერთი პატარა მდინარის ვიწრო ხეობაში აგებულია 284 მეტრი სიმაღლის ბეტონის გრავიტაციული კაშხალი „გრანდ დიქსანსი", რომელიც ამ ტიპის კაშხალებს შორის ყველაზე მაღალია მსოფლიოში. მაგრამ არც ტექნიკურ ლიტერატურაში, არც სპეციალურ თუ პოპულარულ გამოცემებში არ შევხვედრივარ მტკიცებას იმის შესახებ, რომ შვეიცარიის ჰიდროენერგომშენებლობა გიგანტომანიითაა გატაცებული (ალბათ, ისიც საჭიროა ითქვას, რომ შვეიცარიამ უკვე მთლიანად აითვისა თავისი ჰიდროენერგორესურსები). გიგანტური ჰიდრომშენებლობანი უნდა ვეძიოთ მხოლოდ გიგანტურ მდინარეებზე და ისიც ყოველთვის არა. განა ვიწრო ხეობაში აღმართული ბეტონის მაღლივი კაშხალი (ასეთი საქართველოში მხოლოდ ერთი გვაქვს — ენგურჰესის 271,5 მ სიმაღლის თაღოვანი კაშხალი) გიგანტურად ჩაითვლება? ასე რომ, „გიგანტომანიით გატაცება" ყურით მოთრეული ცნებაა და იგი საქართველოს ჰიდროენერგომშენებლობას საერთოდ არ მიესადაგება. აქედან გამომდინარე, იარლიყების მოყვარულთ მხოლოდ ერთი მიზანი ამოქმედებთ, საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგ დანთებულ ცეცხლს ნავთი დაასხან, რასაც კიდევაც მიაღწიეს.

წყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით ჩვენს საზოგადოებრიობას საგანგაშო არაფერი აქვს, რადგან საქართველოს მდინარეები მიედინებიან ძირითადად მთიანი რელიეფის პირობებში, ვიწრო ხეობებში (კანიონებში) და ამდენად, ასეთ ხეობებში წყალსაცავების შექმნით დიდი ფართობის ნაყოფიერი მიწების დატბორვები გამორიცხულია. მაგრამ, კანიონების ცალკეული უბნები შეიძლება ტყიანი მასივებით იყოს დაფარული! მაშინ მათი გაკაფვა-ამოძირკვისათვის და საკომპენსაციო რეკულტივაციური ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს მნიშვნელოვანი სამუშაოები და სათანადო დაფინანსება. ამასთან ერთად, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დღეისათვის საქართველოს ჰიდროენერგორესურსების მხოლოდ 12 პროცენტამდე გვაქვს ათვისებული და საკმაოდ გონივრულადაც, მაშასადამე, უამრავი საქმე წინ გველოდება. ამ დიდ საქმეში არსებულ სიძნელეთა დასაძლევად საჭიროა მატერიალური რესურსების მობილიზება, რესპუბლიკის მთავრობის ძალისხმევა და ჩვენი საზოგადოებრიობის თანადგომა. საქართველოს ჰიდროენერგომშენებლობის იმ მდგომარეობაში ხანგრძლივად დატოვება, რომელშიც ის დღეს აღმოჩნდა, დაუშვებლად მიგვაჩნია მიუხედავად მძიმე სიტუაციებისა, რომელშიც ამჟამად არის საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკა იმპერიული მართვის 70-წლიანი პერიოდის შემდეგ.

არაერთხელ აღნიშნულა, რომ ჰიდროენერგორესურსები ჩვენი დიდი სიმდიდრეა, ბუნების ნაწყალობევია და მას მოფრთხილება და მაქსიმალურად მომჭირნე გამოყენება სჭირდება. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ პერსპექტივაში საქართველოში უნდა აშენდეს ყველა შესაძლო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები სათანადო ეკონომიკურ-ეკოლოგიური დასაბუთების საფუძველზე, მათ შორის რამდენიმე შედარებით მძლავრი (200-300) მვტ-მდე და საკმაოდ დიდი რაოდენობით საშუალო (10-100) მვტ, მცირე (1-10) მვტ, მინი და მიკრო ჰესები 1 მვტ-ზე ნაკლები სიმძლავრეებით. ჰიდროელექტროსადგურებისათვის შემოთავაზებული გრადაცია სიმძლავრეთა მიხედვით პირობითია, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ იგი საკმაოდ სწორად ითვალისწინებს საქართველოს დიდი, საშუალო და მცირე მდინარეების ჰიდროენერგეტიკულ პოტენციალს.

სავსებით გარკვევით უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს მთავარ მდინარეთა ტექნიკური პოტენციალი მათ კანიონურ უბნებზე მეტწილად საშუალო და ნაწილობრივ მცირე სიმძლავრის ჰესებს შეესატყვისება, ხოლო მათი პირველი და შემდგომი რიგის შენაკადების საკმაოდ შეზღუდული პოტენციალი (დაახლოებით 8-10 მილიარდი, ხოლო მისი ეკონომიკური ანუ ეფექტიანი ნაწილი 4-5 მილიარდი კვტ საათი წელიწადში) — მცირე, მინი და მიკროჰესებს. აქედან გამომდინარე, ცალკეულ, შედარებით მძლავრ და საშუალო ჰესების მშენებლობაზე უარის თქმა და მხოლოდ მცირე, მინი და მიკრო ჰესების მშენებლობაზე სტრატეგიული კურსის აღება, ეს, თუ მეტს არაფერს ვიტყვით, დიდი გაუგებრობაა. არადა, საქართველოს ჰიდროენერგეტიკის შემდგომი განვითარების სწორედ ასეთი კონცეფციაა შემოთავაზებული ზოგიერთი პერიოდული გამოცემის პუბლიკაციებში და 1987-1990 წლებში გამოქვეყნებულ მრავალ საგაზეთო წერილში. ამ პუბლიკაციათა ლაიტმოტივია იმის თავდაჯერებული მტკიცება, რომ დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავებით წარმოქმნილი შეტბორვები და დატბორვები გამანადგურებელ ზიანს აყენებენ ბუნებას, რომ ისინი ეკოლოგიურადაც და ეკონომიკურადაც მიუღებელია მცირემიწიანი საქართველოსათვის და ა. შ. მტკიცებათა ერთ-ერთ ძირითად და საკმაოდ აგრესიულად განწყობილ ავტორს, რომელიც ამ ბოლო წლებში „ეკოკრატის" ამპლუაში ვიხილეთ, მიზნად დაუსახავს ემსახუროს, როგორც თვით აღნიშნავს, „მასების ეკოლოგიურ თვითგანათლებას". თუ რა შედეგი გამოიღო „ეკოლოგიური თვითგანათლების" მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯებმა, იქიდანაც ჩანს, რომ მის პუბლიკაციებში და საჯარო გამოსვლებში განვითარებული „იდეები" აიტაცეს არასპეციალისტებმა — რამდენიმე მწერალმა, პუბლიცისტმა, ჟურნალისტმა, მწვანეთა მოძრაობის წარმომადგენელმა, ახალგაზრდათა ცალკეულმა ჯგუფებმა და თავიანთი გულისწყრომაც დაუმატეს პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებათა გამოყენებით. შედეგად „თვითგანათლების" მთავარ მიზანსაც მალე მიაღწიეს. ჩვენი საზოგადოებრიობის საკმაო ნაწილში შეშფოთებამ და შიშმა დაისადგურა მოსალოდნელი კლიმატის შეცვლის, ბუნებრივი თუ აღძრული მიწისძვრების, მაღალი კაშხალების გარღვევით გამოწვეული წალეკვისა და ასეულობით ადამიანთა მსხვერპლის, ეროვნული უბედურების გამო და ა. შ. მაგრამ „მდგომარეობიდან გამოსავალიც" მოინახა: „რაც შეეხება რესპუბლიკის ჰიდროენერგეტიკული რესურსების შემდგომ ათვისებას, გვირჩევს ეკოკრატი — ჰიდროტექნიკოსი, იგი უპირატესად უნდა განვითარდეს მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ხარჯზე";

„იგი უპირატესად უნდა განვითარდეს მცირე ენერგეტიკის ხარჯზე, მზისა და ქარის ენერგიის გამოყენებით და სხვ".;

„მცირე ენერგეტიკა **ეკოლოგიურად სრულყოფილი ახალი მიმართულებაა ენერგეტიკაში**" (!!!). საკვირველია, ეს აზრი როგორ მოუვიდა თავში სპეციალისტს.

ვწუხვართ, რომ მსგავს მოსაზრებებს ვერ გავიზიარებთ, რადგან ისინი მიუღებელია ჯერ ერთი, იმ „უბრალო" მიზეზის გამო, რომ ფაქტობრივად ნიშნავს საქართველომ უარი თქვას საკუთარი მდიდარი ჰიდროენერგეტიკული რესურსების ძირითადი პოტენციალის გამოყენებაზე, მეორე — მცირე, მინი და მიკრო ჰესები არ შეიძლება იყოს დიდი თუ საშუალო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების შემცვლელი, ურთიერთ მკვეთრად განსხვავებული ფუნქციებისა თუ სტრუქტურების გამო და მესამე — ეკოლოგიური თვალსაზრისითაც ვერ მივცემთ მცირე ჰესებს უპირატესობას. პირიქით, საზღვარგარეთის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილება შებრუნებულს ადასტურებს: „ერთ კილოვატსაათ გამომუშავებულ ელექტროენერგიაზე მიყვანილი გარემოზე ზემოქმედების გავლენა დიდი ჰესებისა უფრო მცირეა, ვიდრე მცირეწყალსაცავებიანი მცირე და მიკრო ჰესებისა" (1988 წ. ივნისში, სანფრანსისკოში გამართული დიდი კაშხალების მსოფლიო ასოციაციის XVI კონგრესის მასალებიდან). მაგრამ ჩვენი განმარტება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სრულიადაც არ ნიშნავს უარს მცირე ჰესების მშენებლობაზე, პირიქით, ისინი მიზანშეწონილია ვაშენოთ საქართველოს მთიანეთის სასოფლო რაიონებში, ფერმერულ, კოოპერაციულ თუ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებში, ადგილობრივ საკურორტო ზონებში. პერსპექტივაში ენერგოსისტემაში ჩართული ახალი მცირე, მინი და მიკრო ჰესები რამდენადმე შეუმსუბუქებენ დატვირთვას ბაზისში მომუშავე თბოელექტროსადგურებს და ამით ნაწილობრივ დაიზოგება ძვირად ღირებული შემოზიდული ორგანული საწვავი (ნახშირი, ნავთობი, გაზი). ამასთან ერთად მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მცირე მდინარეებზე და მათ შენაკადებზე წყლის ხარჯები ერთბაშად ეცემა და ამდენად მცირე, მინი და მიკრო ჰესებს პრაქტიკულად თითქმის არაფრის მოცემა არ შეუძლიათ. არადა, სწორედ აღნიშნული პერიოდი ხასიათდება საქართველოს ენერგოსისტემაში მწვავე დაძაბულობით. როგორც ვხედავთ, თვით რეალობა ადასტურებს, რომ მცირე ჰესების უპირატესობაზე ლაპარაკი მხოლოდ ილუზიაა, უფრო მეტიც, იგი ჩვენი საზოგადოებრიობის შეცდომაში შეყვანის მცდელობად უნდა იქნეს მიჩნეული.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მიგვაჩნია (და ეს კიდევაც ვთქვით), რომ საქართველოს ჰიდროელექტროენერგეტიკული რესურსების ათვისება უნდა მოხდეს, როგორც შედარებით მძლავრი და საშუალო, რომელთაც პრიმატი უნდა მივანიჭოთ, ისე მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის გზით. უაღრესად საჭიროა, რომ ეს აზრი რაც შეიძლება მალე გაითავისოს ქართველმა საზოგადოებრიობამ, რათა რესპუბლიკის ჰიდროენერგეტიკული მშენებლობა გამოვიყვანოთ შოკური მდგომარეობიდან.

ყველას, მთელ ხალხს, მართებს ჭეშმარიტად ობიექტურად შეაფასოს საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკის მდგომარეობა, განა მას შეუძლია მიაღწიოს აღმავლობას ელექტროენერგეტიკის განვითარების გარეშე, რომლის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს ჰიდროენერგეტიკა წარმოადგენს? რა თქმა უნდა, არა. მაშასადამე, რაკი არ შეუძლია, არც უნდა დავივიწყოთ ეს ანბანური ჭეშმარიტება, თუ გვინდა მივაღწიოთ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის პრობლემების, ქალაქებისა და სოფლების, კურორტების, დაბების, დასახლებული პუნქტების ელექტრომომარაგების საკითხების კარდინალურ გადაწყვეტას, ასე სავალალო მდგომარეობაში რომაა დღეს.

ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ეს პრობლემა უნდა გაიგოს და გაითავისოს ყველამ, ვისაც გულში სამშობლოსადმი სიყვარული და მისი ეროვნული აღორძინებისადმი ერთგულება უდევს. მათ შორის იმანაც, ვისთვისაც „სვანი კაცის (და ალბათ, საერთოდ ქართველი კაცის ნ. მ.) ამაყი კეთილშობილება მილიონჯერ უფრო ძვირფასია, ვიდრე **მთელი ის ვინ იცის, ვისთვის და რისთვის დახარჯული კილოვატსაათები**" (ხაზგასმა ჩვენია ნ. მ.) და ვისაც არ სჯერა, რომ ეს კილოვატსაათები საქართველოს მოხმარდება.

ჩვენში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლამ ისეთი ფორმა მიიღო, რომ მასში ძნელი გასარჩევია რომელი ასპექტები ჭარბობს: ეკოლოგიური, დემოგრაფიული თუ პოლიტიკური. ჩვენ გულწრფელად გვსურს დავიცვათ ჰიდრომშენებლობანი გამძაფრებული ეკოლოგიური ხასიათის კრიტიკისაგან და ცალკეული, პაკვილამდე მიყვანილი თავდასხმებისაგან, ვეძებთ რთული სიტუაციებიდან გამოსავალ ისეთ გზებს, რომლებიც ნაკლებად დააზარალებენ მშენებარე ობიექტებს (მაშასადამე, რესპუბლიკას) და ამასთანავე აცილებენ ბუნებას ეკოლოგიური წონასწორობის მნიშვნელოვან დარღვევებს. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, ჰიდროენერგეტიკული და წყალსამეურნეო მშენებლობანი კინაღამ ეროვნული ბრძოლის სარბიელადაა გადაქცეული. ჰიდროელექტროსადგურებისა და წყალსაცავების მშენებლობის პრობლემების პოლიტიზებამ მძიმე სურათი შეუქმნა საქართველოს. გარდა იმისა, რაც უკვე მოხდა, ლამისაა მოითხოვონ მდინარე არაგვზე ჟინვალის ჰიდროკვანძის კომპლექსური დანიშნულების წყალსაცავის, თბილისის თავზე აღმართული ამ „დამოკლეს მახვილის" გაუქმება, ვითომდა იმ საშიშროების გამო, რითაც მისი 100 მეტრი სიმაღლის გრუნტის კაშხალის გარღვევის შემთხვევაში საქართველოს ძველ და თანამედროვე დედაქალაქს ემუქრება. დასანანია მხოლოდ ის, რომ ზოგჯერ ასეთი პრიმიტიული მსჯელობანი მოისმის რესპუბლიკის ტელეგადაცემათა ეკრანებიდან. რაც შეეხება ენგურჰესის ბეტონის მაღალთაღოვან კაშხალს, მისი დანგრევა და წყალსაცავის გაუქმება ეხლა უკვე შეუძლებელია. არადა, ამის მსურველებიც ხომ გამოჩნდნენ ცოტა ხნის წინათ. მადლობა ღმერთს, რომ ეს მაღალწნევიანი ჰიდროკვანძი მაინც შეგვრჩა აშენებული. აბა წარმოვიდგინოთ საქართველო დღევანდელი მწვავე ენერგეტიკული კრიზისის პირობებში ენგურის მძლავრი ჰიდროელექტროსადგურისა და ჰესების ოთხსაფეხუროვანი კასკადის გარეშე!

მდინარე ენგურის ხეობაში 1988-1989 წ.წ. განხორციელებულმა უმწვავესმა საპროტესტო აქციებმა ეროვნული ბრძოლის მკვეთრი ელფერი მიიღო. კიდევ კარგი რომ აქციის მომწყობთათვის დიდი წინააღმდეგობა არავის გაუწევია, თორემ შეიძლება ძმათა შორის უბედურებაც დატრიალებულიყო. ამ გარემოებას ახსნა სჭირდება, შექმნილ სიტუაციებს მხოლოდ ეკოლოგიური, თუ დემოგრაფიული გართულებებით ვერ ავხსნით. ეს რომ მართლაც სავსებით ასე იყოს, მაშინ პრობლემას უფრო ადვილად გადავწყვეტდით. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენს დღევანდელ დამოკიდებულებას თითქმის ყოველგვარი პრობლემებისადმი, შეეხება ის პოლიტიკას, ეკონომიკას, სოციოლოგიას, დემოგრაფიის საკითხებს, ტექნიკურ პროგრესს თუ სხვა ასპექტებს, ჩვენი აზრით, საქართველოს უკანასკნელი ორსაუკუნოვანი ბედუკუღმართი ისტორიის დაღი აქვს დასმული, მას ეროვნული შინაგანი გულისწუხილი და უკმარისობის გრძნობა ახლავს. ეს გარემოება, თუ სხვაზე არაფერს ვიტყვით, ეჭვის ქვეშ აყენებს ყველა იმ „გიგანტურად" თუ „თავსმოხვეულად" წოდებულ საწარმოთა და მშენებლობათა საჭიროების საკითხს, რომლებიც უნიტარული ქვეყნის სახალხო მეურნეობის ეკონომიკის განვითარების ინტეგრაციის პრინციპებზე დაყრდნობით განხორციელდა ჩვენს რესპუბლიკაში საკავშირო მთავრობის (ცენტრის) სანქციებით. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამ ნაწილში გვმართებს დაფიქრება და მდგომარეობის გაანალიზება, კარგად უნდა გავიაზროთ ყველაფერი, ავწონ-დავწონოთ და რაც სასარგებლო და მისაღებია რესპუბლიკისათვის, გავუფრთხილდეთ მას, არ მივაკრათ ისეთი იარლიყი, რომელიც უმართებულო იქნებოდა. არ უნდა გამოვიჩინოთ განუკითხაობა ამ საქმეში.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სპეციალისტები (და არამარტო ისინი) დაგვეთანხმებიან, რომ როგორიც არ უნდა ყოფილიყო რესპუბლიკის სტატუსი, მისთვის მინიმალურად აუცილებელი იქნებოდა ყველა იმ ჰიდროელექტროსადგურის აშენება, რომლებიც ამჟამად მოქმედებს. დასანანია, რომ დღესაც ვხედებით ცალკეულ პუბლიკაციებს ეგრეთ წოდებული „თავსმოხვეული", „გიგანტური" ენგურჰესის შესახებ, რომელმაც თურმე ასე დაგვაზარალა.

ჰიდროტექნიკური და ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ დიდად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს (იტალია, საფრანგეთი, აშშ, კანადა, შვეიცარია, შვეცია, ნორვეგია, ფინეთი, იაპონია და სხვ.), რომელთა ნაწილმა თითქმის ამოწურა ჰიდროენერგეტიკული რესურსების მარაგი, კარგა ხანია (30-40 წელზე მეტი) გამოვლილი აქვთ მწვანეთა ბრძოლის ის ეტაპი, რომელზეც ამჟამად საქართველო იმყოფება. ჩვენთვის მეტად საინტერესოა, თუ როგორ განვითარდა და რა შედეგი მოჰყვა აღნიშნულ ბრძოლას. რა თქმა უნდა, სიტუაციები სრულიად კანონზომიერად განვითარდა. მწვანეთა საზოგადოებები დარწმუნდნენ, რომ ქვეყნის ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისების გარეშე მისი საწარმოო ეკონომიკური განვითარების პრობლემა გადაუწყვეტელი რჩება. ეკონომიკურ მოსაზრებებსაც რომ არ გაეწიოს ანგარიში (რაც ერთობ საეჭვოა), ტექნიკურადაც თითქმის შეუძლებელია ქვეყნის ენერგოსისტემის ფუნქციონირება ჰესების მონაწილეობის გარეშე, განსაკუთრებით პიკური დატვირთვების ზონაში. ამგვარად, წინააღმდეგობათა მიუხედავად, მსოფლიოს ყველა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში ჰიდროენერგეტიკულმა მშენებლობამ თავისი გზა გაიკვლია. როგორც სპეციალისტს და ჩვენი მიწა-წყლის თაყვანისმცემელს, მიმაჩნია, რომ საქართველოშიც სწორედ ასეთნაირად უნდა წარიმართოს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საქმე. რაც უფრო მალე გაიგებს ჩვენი საზოგადოებრიობა ამ აუცილებლობას, რასაც მისთვის მხოლოდ დიდი სიკეთე მოაქვს, მით უფრო გულდაჯერებით შეიძლება ვაშენოთ ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი სუვერენული საქართველო.

თუ მწვანეთა ასოციაცია და მწვანეთა პარტია, რომელთა საქმიანობას (ერთ-ერთი ლიდერის თქმით) „პოლიტიკური ჟღერადობაც მიენიჭა", გაგებით არ მოეკიდნენ საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენების აუცილებლობის საკითხს და ქვეყნისათვის სასარგებლო კომპრომისზე არ წავიდნენ, დისკუსიებიდან არაფერი გამოგვივა და დასაღუპავად გავწირავთ მთელ ამ საქმეს.

ერთად განვიხილოთ, ამბობენ ზოგჯერ მწვანეთა ლიდერები. კი ბატონო! ერთად განსახილველი საკითხები საკმარისი რაოდენობითაა, მაგრამ რომელ დიალოგზე ან ერთობლივ განხილვაზე შეიძლება საუბარი, როდესაც კომპრომისის საპირისპირო აზრი უკვე წინასწარ არის ჩამოყალიბებული და შეუვალობის ვეტო აქვს დადებული: „ჩვენ კატეგორიულად წინააღმდეგი ვართ". ცხადია, ულტიმატური პოზიციაა, ასეთს ჩვენი საზოგადოება უკვე იცნობს. ამჟამად სხვა რამ არის საჭირო, რაკი თითქმის ყველაფერს ნათელი მოეფინა.

დიდად ვაფასებთ ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის ცალკეულ წევრთა, წევრ-კორესპონდენტთა, აგრეთვე, იმ მეცნიერთა და მკვლევართა კეთილშობილურ შრომას, რომლებიც იღვწიან ბუნებისმცოდნეობის დარგებში, კერძოდ კი საქართველოს ბუნების, — მისი ფლორის და ფაუნის შესწავლის საქმეში. მაგრამ მათ შეუძლიათ ერთბაშად უარი თქვან ყოველგვარ საინჟინრო ნაგებობათა განხორციელებაზე, თუ ეს ნაგებობანი თუნდაც მცირე გავლენას მოახდენენ გარემოზე. და არც არის გასაკვირი, რადგან ბუნების დაცვა მათი პროფესიონალური მოვალეობაა. მნიშვნელოვნად განსხვავებულია ტექნიკური მეცნიერების დარგების წარმომადგენელთა პოზიციები, სახელდობრ, ჰიდროტექნიკური და ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის დარგის მეცნიერებს, მკვლევარებს, საინჟინრო-ტექნიკურ კადრებს თავიანთ პროფესიონალურ მოვალეობად მიაჩნიათ საქართველოს შეუქმნან მყარი ენერგეტიკული ბაზა ძირითადად მისი უმდიდრესი ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისების გზით, რაც დაკავშირებულია ეკოლოგიურ ასპექტებთან — ბუნების დაცვის ღონისძიებათა განხორციელებასთან.

რაც შეეხება ენერგეტიკულ კრიზისთან დაკავშირებულ სიტუაციებს, მის მოსახსნელად ან შესამსუბუქებლად გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია დაუყოვნებლივ განხორციელდეს სათანადო ტექნიკური ღონისძიებანი, რათა სრული სიმძლავრით ამოქმედდეს საექსპლუატაციოდ გადაცემული ყველა ჰიდრო- და თბური ელექტროსადგური, დაჩქარდეს მათი გაფართოება-რეკონსტრუქციის სამუშაოები, აღდგეს რამდენიმე ათეული წლის წინათ გაუქმებული 140-ზე მეტი მცირე, მინი და მიკრო ჰესები და სხვ.

ცხადია, ყველა ზემოხსენებული ამოცანის შესრულებისას გვერდს ვერ ავუვლით ეკოლოგიისა და ენერგეტიკის მოთხოვნილებათა შორის წინააღმდეგობრიობას (ჰიდროენერგეტიკის შემთხვევაში უფრო ნაკლებს). სწორედ ამიტომ უახლოეს პერსპექტივაში, გადაუდებელ ამოცანად ისახება ზრუნვა გონივრული ტექნიკური პროექტების შესადგენად (სპეციალისტ-ეკოლოგთა მონაწილეობით), რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი აღნიშნული წინააღმდეგობრიობა. ჰიდროენერგეტიკული დაპროექტებისა და მშენებლობის მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ამ დიდ საქმეში შეიძლება დამყარდეს სრული თანხმობა.

ნიკოლოზ მოწონელიძე,
საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რედაქციისაგან: ბატონ ნიკოლოზ მოწონელიძის მოსაზრებას, რასაკვირველია, ალტერნატივა აქვს. სპეციალისტებს ვთხოვთ გამოგვეხმაურონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება

წერილი „აკრძალული ზონიდან“

უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის პრესის ფურცლებზე უაღრესად ნეგატიური და ტენდენციური წერილები დაიბეჭდა ქართული ფსიქიატრიის შესახებ. მათი ავტორია ფსიქიატრი ზ. ჩიქოვანი (გაზეთი „საქართველო“, 1990 წლის 27 აპრილი და გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1991 წლის 28 ივნისი).

ამ რედაქციებში გაგზავნილი პასუხები არ გამოქვეყნდა, თუმცა, მათ ხელს აწერდნენ ფსიქიატრთა საზოგადოების გამგეობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის პრეზიდიუმის, ახალგაზრდა სპეციალისტების, უფროსი თაობის წარმომადგენლები, რესპუბლიკის ყველა მსხვილი ფსიქიატრიული დაწესებულების თანამშრომლები.

საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს ზ. ჩიქოვანის დემაგოგიური და პათეტიკური ტონით დაწერილი სტატიები (ასევე მისი სიძის, სხვათა შორის, პროფესიით ფიზიკოსის, ბ-ნი ტოროტაძის გამოსვლა ინტელიგენციის წარმომადგენლებთან პრეზიდენტის ამასწინანდელ შეხვედრაზე) ისეთ შთაბეჭდილებას უქმნის, თითქოს ავტორს კალამი პროფესიულმა პატრიოტიზმმა და ჰუმანიზმმა აალებინა და არა პირადი ანგარიშსწორების სურვილმა. იგი ლაფს ასხამს ქართულ ფსიქიატრიას თავისი არაკვალიფიციური, ცილისმწამებლური, აბსოლუტურად უპასუხისმგებლო მონაცემებითა და პროფესიული ცნებების აღრევით სავსე პუბლიკაციებში.

კერძოდ, სინამდვილეს არ შეესაბამება ზ. ჩიქოვანის წერილში მოყვანილი ცნობა იმის თაობაზე, თითქოს საქართველოში არასწორი დიაგნოსტიკის გამო აღრიცხულია 150 ათასი სულით ავადმყოფი, მაშინ, როდესაც სინამდვილეში 1991 წლის პირველი იანვრისათვის საქართველოში აღრიცხული იყო 27.981 სულით დაავადებული, მათგან შიზოფრენიის დიაგნოზით 14842. ციფრების ამგვარი დამახინჯება მიგვაჩნია არა მარტო დეზინფორმაციად, არამედ ერის შეურაცხყოფად. სრულიად უსაფუძვლოა ზ. ჩიქოვანის მტკიცება იმის თაობაზეც, თითქოს სტაციონარში შიზოფრენიით დაავადებულთა ხვედრითმა წონამ 40%-დან 90%-ს მიაღწია.

აბსურდულია აზრი, თითქოს აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი საბჭოთა კავშირში მიღებული ფსიქიატრიული კლასიფიკაციის და, კერძოდ, „დუნედმავალი შიზოფრენიის“ გამოყოფის ერთ-ერთი ავტორია. „დუნედმავალი შიზოფრენია“, როგორც ტერმინი და კლინიკური ფორმა, XX საუკუნის დასაწყისში შემოიღეს ფსიქიატრიის კლასიკოსებმა — ე. ბლეილერმა, პ. განუშკინმა და ა. კრონფელდმა.

ასევე არასწორია იმის მტკიცება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქოს ინგორირებულია შიზოფრენიის დიაგნოზი. ამ საკითხზე მსჯელობისას წერილის ავტორი იქამდეც მიდის, თითქოს აშშ-ს მიღწევები ეკონომიკასა და კულტურაში ამ ფენომენით განისაზღვრებოდეს (!!!). ეს არა მარტო აბსურდია...

განა შეიძლება ფსიქიატრიას ნაკლად ჩაეთვალოს ის, რაც დაშვებულია ყველა სხვა სფეროსათვის: თუ შეიძლება ოჯახური სიმღერა, ცეკვა, ფოლადის გამოდნობა და ა. შ., რატომ არ შეიძლება, რომ მშობელმა შვილს ჩაუნერგოს ჰუმანური დამოკიდებულება სულით დაავადებულთა მიმართ, გადასცეს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. რატომ არ შეიძლება შეუღლდნენ ფსიქიატრები?

განა შეიძლება ყველა იმ „ცოდვის“ მექანიკური გავრცელება მთელს ფსიქიატრიაზე, ასევე ქართულ ფსიქიატრიაზე, რომელიც ხორციელდებოდა საბჭოთა კავშირში, სპეციალურად შერჩეულ რამდენიმე დაწესებულებასა და საავადმყოფოში?

სრული კატეგორიულობით ვაცხადებთ, რომ ქართული ფსიქიატრია ყოველთვის გამოირჩეოდა საბჭოთა ფსიქიატრიული სხვა სკოლებისაგან ფსიქოლოგიზმით, მაქსიმალური დამზოგველი დიაგნოსტიკითა და ჰუმანური პრინციპებით, მიუხედავად ამისა, საქართველოს ფსიქიატრია მართლაც იყო საბჭოთა სამედიცინო სამსახურის ნაწილი და ხელმძღვანელობდა იმავე უსუსური და გაუმართლებელი ნორმატივებით, როგორც სხვა სამედიცინო დარგები. მდგომარეობას ამძიმებს მისი სპეციფიკაც: განა საკმარისია მწვავე განყოფილების 60 ავადმყოფზე ორი სანიტრის (უკიდურესად დაბალი ანაზღაურებით) მეთვალყურეობა? შეიძლება კი უმცროსი პერსონალის მუდმივი ნაკლებობის და სრული სოციალური დაუცველობის პირობებში მკაცრი შერჩევა მაღალეთიკური პრინციპების მიხედვით? მით უფრო რომ არაიშვიათია მედპერსონალის პროფესიული ტრავმატიზაცია (1988 წლის მონაცემებით ქალაქ მოსკოვში რეგისტრირებული იყო 70 თავდასხმა ექიმ ფსიქიატრებზე ავადმყოფთა მხრიდან, აქედან ორი სიკვდილით დამთავრდა. საშუალო და დაბალი პერსონალის ტრავმატიზაცია უფრო ხშირია და სისტემატურ ხასიათს ატარებს).

შეუძლია ორდინატორს ყოველდღიურად ისეთი ყურადღება მიაქციოს ყველა ავადმყოფს, როგორც ამას ჩვენი პედაგოგები გვასწავლიან, თუ მწვავე განყოფილებაში 25-35 ავადმყოფის მოვლა ევალება, ხოლო „ქრონიკულ“ სტაციონარებში კი 100-მდე და მეტის?

განა ქართველი ფსიქიატრების ბრალია ქრონიკული სტაციონარების არსებობა? თუ ეს სოციალური გარემოს (და მათ შორის, არაიშვიათად, ნათესავების) სულით დაავადებულთა მიმართ გულგრილობამ განაპირობა? არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ფსიქიატრიული (არა მარტო შიზოფრენიის) დიაგნოზი საკმარისია სამსახურიდან პირველივე მოსახერხებელ ვითარებაში განთავისუფლებისათვის, მაშინ, როდესაც უცხოეთის ქვეყნებში დაწესებულებანი, რომელთაც შტატში 3%-მდე სულით დაავადებული ჰყავთ, თავისუფლდებიან დაბეგვრისაგან. განვითარებულ ქვეყნებში სულით დაავადებულთა შენახვაზე სახელმწიფო დაწესებულებებში იხარჯება 10-ჯერ მეტი, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში და სხვა და სხვა....

არასპეციალისტებისათვის, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია ის წინააღმდეგობანი, რომლებიც ხელს უშლის ფსიქიატრიული სამსახურის ნორმალურ ფუნქციონირებას, მაგრამ სრულიად გაუგებარია, როგორ შეუძლია ფსიქიატრს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს ფსიქიატრიის და, კერძოდ, ფსიქიატრიული მეცნიერების ქართული სკოლის უსუსურობის დამამტკიცებელ ძირითად არგუმენტად გამოიყენოს ტუალეტის არარსებობა ბათუმის სტაციონარში (ასეთი ფაქტი არ არსებობს)?

ფსიქიატრიული ქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა რომ არავითარ სტანდარტს არ შეესაბამება, ამის შესახებ რეგულარულად იწერება სათანადო ინსტანციებში (და არა პრესაში), მაგრამ როგორც ყველაზე „უპერსპექტივო“ დარგი, ყველაზე ბოლო რიგში კმაყოფილდება.

საექიმო ეთიკის დეფიციტზე მიუთითებს ფსიქიატრთა შეგნებული დუმილისა და ავადმყოფთა ინტერესებიდან გამომდინარე ინფორმაციის გაცემის შეზღუდვის ახსნა ე. წ. „ზონის გასაიდუმლოებითა და აკრძალვით“.

რაოდენ შორს არის სინამდვილისაგან მისი წუხილი თითქოსდა პარტიული ფუნქციონირების გავლენაზე, პირადად მის მუშაობაზე! ჯერ ერთი, ყველასათვის ცნობილია, რომ ისინი არასოდეს „რიგითი მუშაკის“ დონემდე „არ ეშვებოდნენ“, ხოლო მას რომ მართლაც ჰქონდეს ასეთი მასალა, ეჭვს გარეშეა, კარგა ხნის წინათ გაგვაცნობდა.

ზ. ჩიქოვანისათვის ისიც არ არის ცნობილი, რომ ქართველ ფსიქიატრთა საზოგადოებამ საბოლოო სახით მოამზადა კანონი ფსიქიატრიის შესახებ, რომელიც ცვლის აქამდე არსებულ დებულებებს სულით დაავადებულთა სტატუსისა და მათი უფლებების შესახებ, დისპანსერიზაციის პრინციპებს.

ზ. ჩიქოვანი ქართულ ფსიქიატრიას ანტიფსიქიატრიას უწოდებს, და არ იცის, რომ **ანტიფსიქიატრია** პროფესიული ცნებაა და სრულიადაც არ ნიშნავს ფსიქიატრიის გაუკუღმართებას და მასთან დაპირისპირებას (რა მნიშვნელობითაც ამას სტატიის ავტორი ხმარობს). ეს არის XX საუკუნის საკმაოდ მძლავრი, უკიდურესად ჰუმანური მიმართულება ფსიქიატრიაში, რომელიც უარყოფს ტრადიციული ფსიქიატრიული მკურნალობისა და, განსაკუთრებით, შემზღუდავი მეთოდების გამოყენებას.

და ბოლოს, თუ რაიმე მორალურ ან მატერიალურ ზარალზეა ლაპარაკი — იმაზე დიდი ზარალის მიყენება ძნელია, რასაც ზ. ჩიქოვანი საქართველოს საზოგადოებას აყენებს თავისი ცილისმწამებლური სტატიებით, როცა ფსიქიატრიის სისტემას საზოგადოებას უპირისპირებს და ამით კიდევ უფრო ართულებს ისედაც მძიმე მისიის შესრულებას, და, რაც მთავარია, ყველაზე დიდ ხიფათს უქმნის იმ ადამიანებს, რომელნიც ფსიქიატრთა შველას საჭიროებენ.

რაც შეეხება „აკრძალულ ზონას“, ქართული ფსიქიატრიული საზოგადოების ყველა უბანი მზად არის ყოველ კერძო შემთხვევასა თუ ზოგად პრინციპებზე ნებისმიერ წარმომადგენლობასთან სასაუბროდ.

ესოდენ „ობიექტურად“ განწყობილ ზ. ჩიქოვანს უჭირს დაინახოს ქართული ფსიქიატრიის რაიმე წარმატებაც კი. თუნდაც ის ფაქტი, რომ ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის დასკვნაში საბჭოთა ფსიქიატრიის დამსჯელი მიზნით გამოყენებისა და დიაგნოსტიკური დარღვევების შესახებ საქართველოზე არც ერთი სიტყვა არ არის ნახსენები! პირიქით, ამერიკის ასოციაცია მზად არის ითანამშრომლოს ქართველ ფსიქიატრებთან.

ქართული ფსიქიატრიული სკოლის ავტორიტეტზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ასოციაციის ჩამოყალიბებას (რასაც ესოდენ დიდი შეურაცხყოფა მიაყენა ზ. ჩიქოვანმა თავის სტატიაში) მიესალმა ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი, გაეროს კონსულტანტი ფსიქიატრიის დარგში, პროფესორი ბროუდი (აშშ). ახლახან კი საქართველოს ასოციაცია, ამერიკელ სპეციალისტთა რეკომენდაციით, მიღებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო ფედერაციის წევრად.

გაიოზ შარაშიძე, საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ასოციაციის თავმჯდომარე;
შოთა გამყრელიძე — ფსიქიატრთა საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი;
ნესტან დუდუჩავა — ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სწავლული მდივანი;
ოლღა ჟითავა, ფსიქიატრიის ს. კ. ინსტიტუტის განყოფილების გამგე;
თენგიზ აბრამიშვილი, რესპუბლიკური კლინიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს ექიმი ფსიქიატრი;
ფაიზულ კონტრიძე, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქიატრიის კათედრის გამგე, პროფესორი და სხვები (სულ 96 ხელმოწერა),

---

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის ძეგლისდება

თავი I
ზოგადი დებულება

მუხლი 1. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი (ქ. ტ. კ.) არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს სამეფოს აღდგენა და მრავალსაუკუნოვანი ქართული ზნეობრივი, პოლიტიკური, კულტურული და სამეურნეო ტრადიციის აღორძინება და განვითარება; ქართველი ერის ცხოვრების მოწყობა მისი ისტორიული გამოცდილებისა და სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად.

მუხლი 2. აღიარებს რა თავის საფუძვლად ტრადიციონალიზმს, ქტკ აქტიურად მონაწილეობს საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბების პროცესში სამართლებრივი და პოლიტიკური მეთოდებით. ქტკ მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და მოცემული ძეგლისდების თანახმად.

მუხლი 3. გადაწყვეტილების მიღება ხდება კავშირის შესაბამისი სტრუქტურული რგოლების საერთო კრებებზე ან სხდომებზე. საერთო კრება ან სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება შესაბამისი სტრუქტურული რგოლის წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, თავმჯდომარეს (ხელმძღვანელი) აქვს უპირატესი ხმის უფლება.

კავშირის ყრილობა, კონფერენცია, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება ყრილობის (კონფერენციის) დელეგატთა 2/3. გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უბრალო უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, ფარული კენჭისყრა შეიძლება დაინიშნოს, თუ მას ითხოვს დამსწრე დელეგატთა მესამედი.

კავშირის თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და საბჭოს წევრთა არჩევა ხდება 2 წლის ვადით, ხოლო კავშირის სტრუქტურულ რგოლთა თავმჯდომარეების (ხელმძღვანელების) და მათ მოადგილეთა არჩევა 1 წლის ვადით ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, ინიშნება არჩევნების მეორე ტური. მეორე ტურში არჩევა ხდება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

თავი II
ქტკ-ის წევრი

მუხლი 4. ქტკ-ის წევრი შეიძლება გახდეს ყველა ის პირი, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი, აღიარებს კავშირის ქარტიასა და ძეგლისდებას, იხდის საწევრო შესატანს და ერთიანდება კავშირის ერთ-ერთ სტრუქტურულ რგოლში.

პირის მიღება კავშირში ხდება ჯერ თავისუფალ წევრად.

კავშირის თავისუფალ წევრად მიიღება ის პირი, რომელიც აღიარებს კავშირის ქარტიასა და წესდებას და იხდის საწევრო შესატანს.

მუხლი 5. კავშირის თავისუფალ წევრად მიღება ხდება პარტიის სტრუქტურული რგოლებისა და ხელმძღვანელი ორგანოების მიერ, პირადი განცხადების საფუძველზე.

თავისუფალი წევრის გადასვლა კავშირის ნამდვილ წევრად შეიძლება მიღებიდან 6 თვის ვადის გასვლის შემდეგ შესაბამისი სტრუქტურული რგოლის ხელმძღვანელისა და ერთი წევრის რეკომენდაციის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს კავშირის საბჭო.

თავისუფალი წევრისა და წევრის მიღების რეგისტრაცია ხდება სამდივნოს სააღრიცხვო განყოფილებაში.

მუხლი 6. კავშირის წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნეს კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში.

ბ) შეიტანოს წინადადებები, შენიშვნები და დასვას ნებისმიერი ხასიათის საკითხი იმ სტრუქტურული რგოლის წინაშე, რომელშიც ერთიანდება, აგრეთვე მიმართოს კავშირის სხვა ხელმძღვანელ ორგანოებს და იცავდეს თავის აზრს, სანამ საბჭო, სათათბირო ან კავშირის ყრილობა (კონფერენცია) არ მიიღებს მოცემულ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას.

გ) გაუწიოს რეკომენდაცია კავშირში შესვლის მსურველებს.

დ) მიიღოს ინფორმაცია ქტკ-ის პოლიტიკური, ფინანსური და სხვა სახის საქმიანობის შესახებ.

ე) სარგებლობდეს ერთი გადამწყვეტი ხმის უფლებით იმ კომპეტენციის ფარგლებში, რასაც მას ანიჭებს კავშირი.

ვ) გავიდეს კავშირიდან განცხადების საფუძველზე მიზეზის დასახელებით ან მის გარეშე.

ზ) კავშირიდან გარიცხვის შემთხვევაში აპელაციით მიმართოს კავშირის ყრილობას.

შენიშვნა: თავისუფალი წევრი არ სარგებლობს მოცემული კარის, ა, ბ და ე პუნქტით განსაზღვრული უფლებებით.

მუხლი 7. კავშირის წევრი მოვალეა:

ა) იცავდეს კავშირის ძეგლისდების მოთხოვნებს;

ბ) იცავდეს კავშირის ინტერესებს და ღირსებას;

გ) ასრულებდეს კავშირის გადაწყვეტილებებს;

დ) იხდიდეს საწევრო შესატანს.

მუხლი 8. კავშირის წევრი არ შეიძლება იყოს სხვა პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი. აგრეთვე არ აქვს უფლება გააკეთოს განცხადებები და იმოქმედოს კავშირის სახელით სათანადო რწმუნებათა გარეშე.

მუხლი 9. კავშირის წევრი, რომელიც დაარღვევს ძეგლისდების მოთხოვნებს, გაირიცხოს კავშირიდან. წევრის კავშირიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ის სტრუქტურული რგოლი, რომელშიც იგია გაერთიანებული. გადაწყვეტილება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მას დაამტკიცებს კავშირის საბჭო.

მუხლი 10. კავშირი იღებს პასუხისმგებლობას მის წევრთა იმ მოქმედებაზე, რომლებიც ასრულებდნენ რა კავშირის გადაწყვეტილებებს, მოქმედებდნენ მათი უფლებამოსილებისა და კავშირის ძეგლისდების ფარგლებში.

თავი III
ქტკ-ის სტრუქტურული აგებულება

მუხლი 11. კავშირის ორგანიზაციული წყობა ეფუძნება ტერიტორიალურ პრინციპებს. კავშირის სტრუქტურული ერთეულებია: სამხარეო გაერთიანებები, რაიონული განყოფილებები და კავშირის ჯგუფები.

მუხლი 12. კავშირის ჯგუფი.

კავშირის ჯგუფები იქმნება კავშირის წევრთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელშიც გაერთიანებულნი არიან არა ნაკლებ 3 წევრისა.

კავშირის ჯგუფი:

ა) პროპაგანდას უწევს მას სამოქმედო ტერიტორიაზე კავშირის ზოგად იდეოლოგიურ პრინციპებს და ახორციელებს კავშირის გადაწყვეტილებებს.

ბ) უზრუნველყოფს ელექტორატული სტრუქტურების შექმნასა და წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებას. კავშირის ჯგუფის მუშაობას წარმართავს ჯგუფის ხელმძღვანელი. კავშირის ჯგუფის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომლის მოწვევის წესს და მოწვევის ვადებს, აგრეთვე საკუთარ შიდა სტრუქტურას განსაზღვრავს კავშირის ჯგუფი.

კავშირის ჯგუფები საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გათვალისწინებით ქმნიან კავშირის რაიონულ განყოფილებებს.

მუხლი 13. რაიონული განყოფილება. რაიონული განყოფილების მუშაობას წარმართავს სათათბირო, რომელიც ირჩევა შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის კავშირის ჯგუფების გაერთიანებულ კრებაზე ან კონფერენციაზე. განყოფილების სათათბირო თავის შემადგენლობიდან ირჩევს სათათბიროს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეებს, რომელთაც ამტკიცებს კავშირის საბჭო.

რაიონული განყოფილება:

ა) ქმნის და ხელმძღვანელობს კავშირის ტერიტორიული ჯგუფების საქმიანობას;

ბ) წარმართავს შესაბამის საარჩევნო ოლქში წინასაარჩევნო კამპანიას;

გ) კოორდინაციას უწევს ელექტორატული სტრუქტურის საქმიანობას;

დ) ახორციელებს კავშირის ხელმძღვანელი ორგანოებისა და სამხარეო რეგიონალური სათათბიროს გადაწყვეტილებებს;

ე) იხილავს კავშირში წევრად მიღებისა და გარიცხვის საკითხებს;

ვ) განსაზღვრავს რეგიონალურ კონფერენციაზე დეპუტატთა წარმომადგენლობის კვოტას.

რაიონული განყოფილებები მუშაობის კოორდინირების მიზნით ერთიანდებიან სამხარეო გაერთიანებებად.

მუხლი 14. სამხარეო გაერთიანება. სამხარეო გაერთიანების საქმიანობას წარმართავს სამხარეო სათათბირო. სათათბირო აირჩევა სამხარეო კონფერენციაზე. სამხარეო სათათბიროში თანამდებობების მიხედვით შედიან რაიონულ განყოფილებათა თავმჯდომარეები და რაიონული სათათბიროს წევრები პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე. სამხარეო გაერთიანების მუშაობის წარმართვის მიზნით სათათბირო თავის შემადგენლობიდან ირჩევს სათათბიროს თავმჯდომარესა და მოადგილეებს, რომლებსაც ამტკიცებს კავშირის საბჭო.

მუხლი 15. სამხარეო გაერთიანება: ა) კოორდინაციას უწევს მხარის რაიონულ განყოფილებათა მუშაობას;

ბ) უზრუნველყოფს მოცემულ ტერიტორიაზე კავშირის პოლიტიკის გატარებას;

გ) ადგილობრივი ვითარებისა და პირობების გათვალისწინებით იღებს სხვადასხვა ხასიათის გადაწყვეტილებებს, რომლებიც არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კავშირის ქარტიასა და ძეგლისდების ძირითად პრინციპებს, კავშირის ხელმძღვანელ ორგანოთა გადაწყვეტილებებს;

მუხლი 16. კავშირის სტრუქტურული ერთეულების ორგანიზაციისა და მუშაობის წესს განსაზღვრავს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულება, რომელსაც ამტკიცებს კავშირის საბჭო.

კავშირის სტრუქტურული ერთეულები თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულნი არიან კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე.

თავი IV
ქტკ-ის ხელმძღვანელი ორგანოები

კავშირის ყრილობა

მუხლი 17. კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ყრილობა, რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ. ყრილობა მოიწვევა საბჭოს გადაწყვეტილებით. კავშირის ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა 2/3. გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უბრალო უმრავლესობით. კავშირის რიგგარეშე (საგანგებო) ყრილობის მოწვევა ხდება სათათბიროს, საბჭოს ან კავშირის წევრთა 1/3-ის ინიციატივით. მისი მოწვევა უნდა მოხდეს ერთი თვის ვადაში.

ქტკ-ის კონფერენციის მოწვევა ხდება საბჭოს ინიციატივით. კონფერენცია მოიწვევა ცალკეულ პრობლემატურ საკითხთა განხილვის მიზნით, რომელიც ეხება კავშირის ტაქტიკის საკითხებს.

კავშირის ყრილობა:

ა) იღებს ქარტიასა და ძეგლისდებას, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებანი. გადაწყვეტილება მიიღება; თუ მას მხარს უჭერს დამსწრე დელეგატთა 2/3.

ბ) ამტკიცებს კავშირის წინასაარჩევნო პროგრამასა და პლატფორმას.

გ) განსაზღვრავს კავშირის მუშაობის ძირითად მიმართულებებს, მის სტრატეგიულ კურსს.

დ) იხილავს და წყვეტს კავშირის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

ე) ირჩევს კავშირის თავმჯდომარეს

ვ) კავშირის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს:

1) კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს, აღმასრულებელ მდივანსა და საპარლამენტო ჯგუფის სპიკერს.

2. საბჭოს წევრებს.

ზ) ისმენს და აფასებს კავშირის თავმჯდომარის ანგარიშს.

თ) იღებს კავშირის მიმართვებს და დეკლარაციებს.

ი) იხილავს კავშირიდან გარიცხულ წევრთა აპელაციებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

კავშირის სათათბირო

მუხლი 18. ყრილობებს შორის პერიოდში კავშირის უმაღლესი ორგანოა სათათბირო, რომელიც მოიწვევა თვეში ერთხელ. სათათბიროს რიგგარეშე სხდომის მოწვევა ხდება კავშირის თავმჯდომარის, კავშირის საბჭოს ან სათათბიროს წევრთა 1/3-ის ინიციატივით. სათათბიროს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა ერთი კვირის ვადაში. სათათბიროში შედიან კავშირის საბჭოს წევრები, კოლეგიათა და განყოფილებათა თავმჯდომარეები და მოადგილეები, სამხარეო გაერთიანებათა თავმჯდომარეები და მოადგილეები, რაიონულ განყოფილებათა თავმჯდომარეები, კავშირის საპარლამენტო ჯგუფის წევრები.

კავშირის სათათბირო:

ა) კოორდინაციას უწევს კავშირის ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას;

ბ) განსაზღვრავს კავშირის ტაქტიკას მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციაში;

გ) განიხილავს კავშირის მიმდინარე ფინანსურ საქმიანობას და იღებს შესაბამის დადგენილებებს.

დ) ამტკიცებს ყრილობაზე დეპუტატთა წარმომადგენლობის კვოტას.

ე) იწვევს კავშირის რიგგარეშე ყრილობას.

სათათბიროს მუშაობას წარმართავს კავშირის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 19. კავშირის თავმჯდომარე:

ა) წარმართავს კავშირის ყრილობას, სათათბიროსა და პოლიტიკური საბჭოს სხდომებს;

ბ) გამოდის კავშირის სახელით.

გ) ხელს აწერს კავშირის ოფიციალურ და ფინანსურ დოკუმენტებს.

დ) წარუდგენს კავშირის ყრილობას დასამტკიცებლად კავშირის თავმჯდომარის მოადგილეების, აღმასრულებელი მდივნის, საპარლამენტო ჯგუფის სპიკერისა და საბჭოს წევრთა კანდიდატურებს.

ე) წარუდგენს კავშირის საბჭოს დასამტკიცებლად კავშირის პრესმდივნისა და კავშირის გაზეთის რედაქტორის კანდიდატურებს.

ვ) ანაწილებს ფუნქციებს საბჭოს წევრებს შორის.

ზ) უფლება აქვს კოოპტაციის წესით შეიყვანოს კავშირის საბჭოში ახალი წევრები. საბჭოს წევრად მიღების საკითხს კავშირის თავმჯდომარის წარდგინებით იხილავს და ამტკიცებს კავშირის საბჭო. საბჭოს წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 20 კაცს.

კავშირის საბჭო

მუხლი 20. კავშირის საბჭო არის კავშირის ცენტრალური და მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს კავშირის მიმდინარე საქმიანობას.

კავშირის საბჭოში შედიან კავშირის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები და საბჭოს წევრები.

კავშირის საბჭო:

ა) განსაზღვრავს კავშირის გეზს მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციაში და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს, ამტკიცებს კოლეგიათა და განყოფილებათა თავმჯდომარეებსა და მოადგილეებს. თავის შემადგენლობიდან ამტკიცებს კავშირის პრეს მდივნისა და გაზეთის რედაქტორის კანდიდატურებს.

ბ) დებს და აუქმებს შეთანხმებებს სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან.

გ) წარმოადგენს კავშირს ხელისუფლებისა და სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ურთიერთობაში.

დ) ამტკიცებს კავშირის ხელმძღვანელი ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების ორგანიზაციისა და მუშაობის დებულებებს.

ე) ამტკიცებს კავშირისაგან დეპუტატობის კანდიდატთა სიებს.

ვ) განკარგავს კავშირის ფინანსებს.

ზ) ამტკიცებს რეგიონალურ განყოფილებათა და სამხარეო გაერთიანებების თავმჯდომარეებისა და თავმჯდომარის მოადგილეთა კანდიდატურებს.

თ) გააქვს კავშირის სათათბიროში საკითხები განსახილველად.

ი) იწვევს ყრილობას, განსაზღვრავს ყრილობაზე განსახილველ საკითხთა წრეს.

კ) ამტკიცებს კავშირის წევრად მიღებასა და გარიცხვის გადაწყვეტილებებს.

ლ) საჭიროების შემთხვევაში იწვევს კავშირის რიგგარეშე ყრილობას.

კავშირის კოლეგიები

მუხლი 21. კავშირის კოლეგიები იქმნება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ, სოციალურ და სხვა საკითხთა შესწავლის მიზნით.

კოლეგიები იმუშავებენ რეკომენდაციებს კავშირის მიერ მოცემულ საკითხთა გადაჭრის გზებისა და პოზიციის შესახებ.

კოლეგიათა მუშაობას წარმართავს კოლეგიის თავმჯდომარე, კოლეგიათა საქმიანობას კოორდინაციას უწევს კავშირის თავმჯდომარის მოადგილე.

კავშირის სამდივნო

მუხლი 22. კავშირის სამდივნო შედგება განყოფილებებისგან, რომლებიც წარმართავენ კავშირის საორგანიზაციო, საგამომცემლო, საინფორმაციო, სააღრიცხვო-საფინანსო და სამეურნეო-ტექნიკურ საქმიანობას. განყოფილებათა მუშაობას ხელმძღვანელობენ განყოფილებათა თავმჯდომარეები.

სამდივნოს განყოფილებათა საქმიანობას წარმართავს კავშირის აღმასრულებელი მდივანი. აღმასრულებელი მდივანი ნიშნავს და წარუდგენს დასამტკიცებლად კავშირის საბჭოს სამდივნოს განყოფილებათა თავმჯდომარეებისა და მოადგილეთა კანდიდატურებს.

თავი V
ქტკ-ის საზოგადოებრივი ორგანიზაციები

მუხლი 23. კავშირის იდეოლოგიის გავრცელების ტრადიციათა აღორძინების მიზნით ქტკ-თან იქმნება საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც მხარს უჭერენ ქტკ-ს სხვადასხვა პრობლემათა თეორიულ დამუშავებასა და პრაქტიკულ განხორციელებაში.

მუხლი 24. ტრადიციონალისტთა კავშირის საზოგადოებრივი ორგანიზაციები იქმნება ნებაყოფლობით საფუძველზე იმ პირთა მიერ, რომლებიც იზიარებენ კავშირის იდეოლოგიას და აღიარებენ კავშირის ქარტიას. საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრები შეიძლება არ იყვნენ ქტკ-ს წევრები.

მუხლი 25. ტრადიციონალისტთა კავშირის საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოქმედებენ საკუთარი წესდების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს კავშირის სამდივნო.

თავი VI
ქტკ-ის საგამომცემლო საქმიანობა, სიმბოლიკა და ადგილსამყოფელი

მუხლი 26. ქტკ-ის პერიოდული ბეჭდვითი ორგანოა გაზეთი „ქართველი ერი“. გაზეთის რედაქტორს კავშირის თავმჯდომარის წინადადებით ნიშნავს კავშირის საბჭო. გაზეთის დანიშნულებაა პროპაგანდა გაუწიოს კავშირის ზოგად იდეოლოგიურ პრინციპებს, ხელი შეუწყოს ტრადიციონალიზმის იდეის პოპულარიზაციას.

ქტკ-ის საგამომცემლო საქმიანობას ახორციელებს კავშირის სამდივნოს შესაბამისი განყოფილება. სხვა სახის ბეჭდვითი ორგანოს დახმარების ან ცალკეულ გამოცემათა საკითხს წყვეტს კავშირის საბჭო.

მუხლი 27. ქტკ-ის აქვს დროშა და გერბი. ქტკ-ის სიმბოლიკას ამტკიცებს კავშირის ყრილობა:

მუხლი 28 კავშირის ცენტრალური ორგანოს მისამართია: თბილისი, 9 აპრილის ქ. № 5.

თავი VII
კავშირის ფინანსები

მუხლი 29. კავშირის ფინანსები შედგება საწევრო გადასახადებისა, საკუთარი საგამომცემლო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლისა და ინდივიდუალური თუ კოლექტიური შემოწირულობისაგან. კავშირის საწევრო გადასახადის შეკრების წესსა და ოდენობას განსაზღვრავს კავშირის საფინანსო განყოფილება და ამტკიცებს კავშირის სათათბირო.

მუხლი 30. კავშირის ფინანსებს სათათბიროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე განაგებს კავშირის საბჭო საფინანსო განყოფილების მეშვეობით.

თავი VIII
ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის საქმიანობის შეწყვეტა

მუხლი 31. კავშირის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კავშირის ყრილობა. გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, თუ მას მხარს უჭერს ყრილობაზე დამსწრე დელეგატთა 3/4.

კავშირის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში კავშირის ქონება გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საზღვარგარეთ

საინფორმაციო საშუალებები საბჭოეთის შესახებ

„დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ შეთანხმებას მოჰყვება შორსმიმავალი შედეგები საერთაშორისო მშვიდობისა და აყვავებისათვის, — მიაჩნია სი-ბი-ესის ტელეკომპანიას.— მსოფლიო ჯერ არასოდეს არ ყოფილა ბირთვული სახელმწიფოს ნგრევის მოწმე. ახლა კი ჩვენ თვალწინ იშლება ქვეყანა, რომელსაც 30 ათასი ერთეული ბირთვული იარაღი აქვს. არ არსებობს მკაფიო წარმოდგენა იმის შესახებ, ვინ აკონტროლებს მათ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სცადა დაემ[illegible]ხადა, რომ არსებობს ცენტრალიზებული კონტროლი ბირთვული შეიარაღებისადმი, რომელიც შენარჩუნებული იქნება მომავალშიც. იგივე აცნობა პრეზიდენტ ბუშს ტელეფონით საუბრისას რუსეთის პრეზიდენტმა ელცინმაც. მაგრამ უკრაინის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შეიქმნა კონტროლის ახალი სისტემა სამი „ბირთვული“ ღილაკით. ისინი გათვალისწინებულია თანამეგობრობის შემქმნელი სამი რესპუბლიკის ლიდერებისათვის, რომლებმაც ერთდროულად უნდა დააჭირონ თითი მათ, რათა ბირთვული იარაღის გამოყენების დასტური მისცენ. მთელი ბირთვული შეიარაღების დაახლოებით 90 პროცენტი რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის ტერიტორიაზეა, მაგრამ კიდევ დაახლოებით 3 ათასი ერთეული განლაგებულია ყაზახეთში. ეს უკანასკნელი ამჟამად არ არის არავითარი კავშირის ნაწილი, რაც ზრდის „კოშმარული“ სცენარით მოვლენათა განვითარების შანსს“.

ამერიკის მეორე ტელეკომპანია ეი-ბი-სი აღნიშნავს: „თავიანთ შეხვედრაზე სლავური რესპუბლიკების ლიდერებმა მოუწოდეს სხვა რესპუბლიკებს შეუერთდნენ მას, მაგრამ ზოგიერთები, რომლებსაც აშინებთ სლავური ბატონობა, მერყეობენ. მათ შორის არის ყაზახეთი, რომლის პრეზიდენტი ნაზარბაევი მხარს უჭერს გორბაჩოვს. მისი აზრით, კავშირი გორბაჩოვის მეთაურობით უკეთ უზრუნველყოფდა პატარა რესპუბლიკების ინტერესებს“.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერს: „დაახლოებით ოთხი თვეა საბჭოთა პრეზიდენტი გორბაჩოვი მწარედ იბრძვის როგორც თავისი პოლიტიკური გადარჩენისათვის, ისე ისტორიული მემკვიდრეობისათვისაც. არსებობს მრავალი განსხვავება აგვისტოში პარტიულ ფუნქციონერთა წარუმატებელ გადატრიალებასა და კვირას სამი სლავური რესპუბლიკის ლიდერების მიერ იმის შესახებ გაკეთებულ განცხადებას შორის, რომ საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს. მაგრამ საბჭოთა ლიდერის რეაქცია ძირითადად ერთნაირი იყო: მან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა თავისი პოლიტიკური ოპონენტების უფლება იღებდნენ გადაწყვეტილებას მთელი ქვეყნის სახელით და გასაგებად თქვა, რომ უბრძოლველად არ დატოვებს თავის პოსტს“.

მეორე სტატიაში გაზეთი აღნიშნავს, რომ „ბუშის ადმინისტრაციის ოფიციალურმა პირებმა გამოთქვეს მზარდი შეშფოთება საბჭოთა პრეზიდენტს გორბაჩოვსა და სამი რესპუბლიკის იმ გავლენიან ლიდერებს შორის ახალი უთანხმოების გამო, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ახალი თანამეგობრობა და მკვდარ სტრუქტურად გამოაცხადეს ძველი კავშირი“.

როგორც „დეილი ტელეგრაფი“ წერს, საბჭოთა კავშირი აღმოჩნდა კონსტიტუციური კრიზისის მარწუხებში მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა გორბაჩოვმა უარი თქვა ცნოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა ან გადადგეს. როგორც ყველაფრიდან ჩანს, დასავლეთს მოუხდება საქმე იქონიოს ოთხ რესპუბლიკასთან, რომლებსაც ბირთვული შეიარაღება აქვთ. გაზეთი გამოთქვამს შეშფოთებას საბჭოთა შუა აზიის ბედის გამო, სადაც განლაგებულია ხუთი მუსულმანური რესპუბლიკა — ამ რესპუბლიკებს, რომლებიც უარყო სლავურმა ბლოკმა, რომლებიც ელტვიან ევროპას, უნარი შესწევთ შექმნან საკუთარი მუსულმანური კონფედერაცია ან აღორძინონ გორბაჩოვის იდეები ახალი კავშირის შესახებ, მაგრამ სლავურ სახელმწიფოთა გარეშე.

„მონდი“ წერს, რომ ჯერ არასოდეს არ ყოფილა ესოდენ დიდი სამოქალაქო ომის რისკი, როგორც ამ ზამთრის დამდეგს მოსალოდნელი მშიერი ბუნტებით. გაზეთის თქმით, ზოგიერთი ასახელებს კიდევ სამხედრო გადატრიალების თარიღს — დეკემბრის შუა რიცხვებს, თუ რუსეთის მთავრობა დაიწყებს ფასების ლიბერალიზაციას, რომელსაც მოჰყვება მოსახლეობის გაღატაკება.

„ფიგარო“ წერს, რომ ტელევიზიით წაკითხულ მ. გორბაჩოვის განცხადებაში გულდაჯერებით გაისმა, რომ ჯერ კიდევ არსებობს მდგომარეობის გამოსწორების შესაძლებლობანი. მხოლოდ ახლა იწყება ნამდვილი რევოლუცია სსრ კავშირში. მისი დასაწყისი გახდა რუსეთს, უკრაინასა და ბელარუსს შორის დადებული პაქტი, რომლებსაც ამიერიდან აქვთ „ნორმალური“ სახელმწიფოებად გადაქცევის შანსი. მათ კავშირს იდეოლოგიურ საფუძველზე ლენინის მიერ შექმნილისაგან განსხვავებით საფუძვლად დაედო რეალობანი — ეკონომიკური აუცილებლობა და გეოპოლიტიკური იმპერატივები.

გაზეთი „ასაჰი“ აღნიშნავს, რომ იაპონიის მთავრობა აპირებს ყურადღებით ადევნოს თვალი დასავლეთის ქვეყნების რეაქციას და გულმოდგინედ შეისწავლოს სიტუაცია ყოფილ კავშირში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სამ მომენტს: ბირთვული იარაღისადმი კონტროლის შენარჩუნება, რადიკალური ეკონომიკური რეფორმების წინ წაწევა და დემოკრატიული პროცესების განვითარება. ამისათვის საგარეო საქმეთა სამინისტრო სასწრაფოდ გზავნის მოსკოვსა და კიევში თავის სპეციალურ წარმომადგენელს ჰიროკაძა არაის ადგილებზე შექმნილი ვითარების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად. იაპონიის საგარეო-პოლიტიკური უწყების აზრით, ტოკიომ უნდა შეინარჩუნოს ერთგულება ძირითადი პრინციპებისადმი საბჭოთა მხარის მიმართ, მათ შორის მიდგომები ტერიტორიული პრობლემის მოწესრიგებისადმი.

ფილიპინების მთავრობას განზრახული აქვს სიფრთხილე გამოიჩინოს საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენების შეფასებისადმი მიდგომაში, განაცხადა პრეზიდენტის პრესმდივნის მოადგილემ პარედესმა. „ჯერ კიდევ რთულია შეაფასო მინსკის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ შექმნილი სიტუაცია, — აღნიშნა მან. — ძნელია წარმოიდგინო, რომ სსრ კავშირი ვერ იარსებებს როგორც ერთიანი მთელი. შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების შეცვლაზე და გამგეობის ფორმაზე, მაგრამ არა სახელმწიფოს, როგორც ასეთის, ლიკვიდაციაზე. ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ არსებული რეალიებით ვიხელმძღვანელებთ“.

ავსტრალიის „ეიჯი“ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს, რომ საერთოდ „დასავლეთს სურს, რომ გორბაჩოვი დარჩეს ხელისუფლების სათავეში“. ამის ერთ-ერთი მიზეზია სურვილი, რომ ბირთვული იარაღისადმი ცენტრალური კონტროლი შენარჩუნებული იყოს ადამიანის ხელში, რომელსაც მსოფლიოში იცნობენ“, — წერს გაზეთი.

რამდენიმე სტრიქონით

„ირანი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას აგებს ქვეყნის გარდაქმნის საბოლოო გეგმის საფუძველზე, რომელსაც განსაზღვრავენ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ხელმძღვანელები“, — განაცხადა ირანის ისლამური რესპუბლიკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ჰასან ჰაბიბიმ. იგი გამოვიდა პრესკონფერენციაზე, სადაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის პოლიტიკური ამბები ამ სახელმწიფოს შინაური საქმეა. „ირანი მოელის საბჭოთა ხელმძღვანელების გადაწყვეტილებას ქვეყნის მომავლის შესახებ, რათა ააგოს ურთიერთობა ახალ ფორმირებასთან და მასში შემავალ სახელმწიფოებთან“ — თქვა ირანის ისლამური სახელმწიფოს პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა.

რაც შეეხება იმ საბჭოთა რესპუბლიკებთან ურთიერთობას, სადაც მუსლიმანი მოსახლეობაა, ირანის ისლამური სახელმწიფო, რომელსაც მათთან საერთო რელიგიური, ეთნიკური და ენობრივი ფესვები აკავშირებს, გულდასმით ადევნებს თვალს ამ რესპუბლიკებში მიმდინარე ცვლილებებს. თეირანი, თქვა ჰ. ჰაბიბიმ, თავის პოლიტიკაში ცდილობს გაითვალისწინოს საბჭოთა კავშირის მუსლიმან ხალხთა ნება.

ხმელთაშუა ზღვაში იტალიასა და საბერძნეთს შორის უკვალოდ დაიკარგა სატვირთო გემის „სკეიენის“ ათი რუმინელი მეზღვაური. როგორც დღეს რომპრესის სააგენტო იტყობინება, ეს ტრაგედია მოხდა 7 დეკემბერს 10-11 ბალი ძალის შტორმის შედეგად.

ეროვნული სანაოსნო კომპანიის „ნავრომის“ კუთვნილი რუმინული გემი საფრანგეთში მიდიოდა სამი ათას ტონაზე მეტი ამონიუმნიტრატით დატვირთული. დაახლოებით შუაღამისას კატასტროფა შეემთხვა და ჩაიძირა სიცილიის კუნძულის აღმოსავლეთით დაახლოებით ას მილზე.

გემიდან გადაცემულ უბედურების სიგნალს გამოეხმაურნენ მახლობლად მყოფი სავაჭრო გემები, აგრეთვე იტალიის საზღვაო მაშველი სამსახურის ვერტმფრენავები და თვითმფრინავები. დაზარალებულ მეზღვაურთა ძებნა გაძნელდა რთული ამინდის პირობების გამო, ამიტომ ეკიპაჟის 26 წევრიდან გადარჩენილია მხოლოდ 16, რომლებსაც ამჯერად არავითარი საშიშროება არ ელით. კატასტროფის რაიონში გრძელდება საძიებო-მაშველი სამუშაოები.

ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა აღარ არსებობს. რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით მას დაერქვა ყაზახეთის რესპუბლიკა. ამ საკითხის განხილვის საბაბი, რომელიც დღის წესრიგში არ მდგარა, გახდა პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის წერილობითი მიმართვა პარლამენტარებისადმი.

„ჰელსინკის შეთანხმება ითვალისწინებს არა მარტო საზღვრების ურღვევობას, არამედ იმასაც, რომ ორი სახელმწიფოს ურთიერთშეთანხმებით შეიძლება მათი შეცვლა, — თქვა დღეს გაზეთ „ნეზავისიმაია მოლდოვასათვის“ მიცემულ ინტერვიუში ადამიანის უფლებათა და ეროვნულ ურთიერთობათა საპარლამენტო კომისიის წევრმა გეორგე გიმპუმ.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ უკრაინასთან ტერიტორიული პრობლემების გადაწყვეტას მოლდავეთის პარლამენტი ვარაუდობს მორიგებისა და დიპლომატიის მეშვეობით. რაც შეეხება რუმინეთთან გაერთიანების საკითხს, ეს ახლა არ დგას დღის წესრიგში. რესპუბლიკაში ცხოვრობს მილიონ-ნახევარი უმცირესობა, რომელიც გაერთიანების წინააღმდეგია. არ სურს ეს არც მკვიდრი მოსახლეობის ნაწილს. ამ საკითხზე, გიმპუს აზრით, არც მსოფლიო საზოგადოებრივი აზრია მომზადებული.

„ხალხო, ოთხ კაცს რატომ ხვრეტთ, მე დამხვრიტეთ..."

(ღია წერილი ამხანაგ ედუარდ შევარდნაძეს)

...ამხანაგო, ედუარდ!...

სიმართლე გითხრათ, უკვე არ ვიცი, როგორ მოგმართოთ. „კომუნისტური ამხანაგობის პარტიის" მანდატი, ცნობილია, რომ აღარ გაქვთ, და ამჟამად „დემოკრატიის მამამთავრად" გვევლინებით.

...ედუარდ ამბროსოვიჩ, მომიტევეთ და ძალზე არაქართულად ჟღერს.

ბატონო ედუარდ, კი თავად არ მსურს გიწოდოთ, რამეთუ შესაძლებელია არ გახსოვდეთ, რომ საქართველოში მიმართვის ასეთი ფორმა არსებობს და ვშიშობ „ბატონს" პირდაპირი მნიშვნელობით გაიგებთ.

ასე, რომ..., მაინც ამხანაგო, ედუარდ!...

...მე, ელისაბედ თეიმურაზის ასული ჩიხლაძე ვარ. თქვენს მიერ სიკვდილმისჯილი უდანაშაულო ბერის — მამა თეოდორეს (ერისკაცობაში თეიმურაზ ჩიხლაძის) ქალიშვილი.

ამ ღია ბარათის დაწერა გადამაწყვეტინა თქვენს მიერ ბატონ ვიქტორ დომუხოვსკისათვის („თვითმფრინავის გამტაცებელთა № 201 საქმის" საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე) მიცემულმა ინტერვიუმ, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა.

გამოგიტყდებით, ადრეც მინდოდა მომემართა თქვენთვის, იმედს ვიტოვებდი, რომ მიპასუხებდით, მაგრამ როგორც ინტერვიუდან ირკვევა, თურმე „არაფერი გცოდნიათ, არაფერ შუაში ხართ და არაფერი გახსოვთ".

ძალიან ვწუხვარ, რომ გულმავიწყობის სენს შეუპყრიხართ, ამიტომ თავს უფლებას მივცემ ამხანაგო მინისტრო, თქვენი წითელი წარსულის ზოგიერთი ეპიზოდი შეგახსენოთ.

1983 წლის 18 ნოემბერს საქართველოს დედაქალაქ-თბილისში ტრაგედია დატრიალდა. ადგილი ჰქონდა თვითმფრინავის გატაცების მცდელობას.

გამტაცებლები იყვნენ ზედმიწევნით განათლებული, ინტელიგენტი ახალგაზრდები, რომლებიც შემდეგ „ბანდიტებად" მონათლნენ.

გაიხსენეთ, ამხანაგო, ედუარდ!... იმ წლებში იყავით, სწორედ, საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, და მოსკოვის წინაშე დამსახურებები მოახლოებული „ჭრარახული" საზეიმო ცერემონიალით გსურდათ დაგვირგვინებინათ, რომ შემდეგ პარტიული იერარქიის ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურზე ასულიყავით. არადა, ახლოვდებოდა სამი „უდიდესი ღირსშესანიშნავი" თარიღი: „საბჭოთა კავშირის „შექმნის" მესამოცე წლისთავი", „მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავი" და „საქართველოს სსრ-ში საბჭოთა ხელისუფლების „გამარჯვების" 60 წლისთავის" იუბილე. (ე. ი. რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ანექსიის მესამოცე წელი).

...და უცებ... ზეიმისათვის გამალებული მზადების პერიოდში გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. ამხ. შევარდნაძის დიქტატურის წინააღმდეგ ახალგაზრდათა ჯგუფმა საჯარო პროტესტი გამოხატა, მოაწყო პოლიტიკური აქცია — თვითმფრინავის გატაცება, რომელსაც ბოლშევიკური ჭკუის მოუქნელობისა და „დერჟიმორდათა" ნაჩქარევი გადაწყვეტილებების გამო მოჰყვა მსხვერპლი.

დღეს ბევრს ახსოვს, ამ ფაქტთან დაკავშირებით, თქვენი აეროპორტში მისვლა... აღელვებული, სიბრაზისაგან ნაკვთებმოშლილი სახე. მაშინ ამბიციებმა სული ისე დაგიბრმავათ, რომ მოსკოვიდან სასწრაფოდ გამოიძახებინეთ „სპეც. ჯგუფი". აქაოდა მე არაფერ შუაში ვარ, ბატონ-პატრონები აქ თქვენ ხართ და დამეხმარეთო.

...ჰოდა, დაგეხმარნენ, ამხანაგო ედუარდ!...

მშობლების თვალწინ „სპეც. ჯგუფმა" 8 წუთში „გააუვნებელყო" გამტაცებლები... იმ მშობლების თვალწინ, რომლებიც გევედრებოდნენ, თვითმფრინავში შესვლის უფლება მიგეცათ, პირობას იძლეოდნენ, რომ შეძლებდნენ შვილების გამოყვანას. თქვენ უარჰყავით ეს ვედრება, მოსკოვს ხომ უნდა დაენახა ამხ. ედუარდის ერთგულება?!...

...მერმე ის იყო, რომ კბილებამდე შეიარაღებულმა „სპეც. ჯგუფმა" 8 წუთში „გააუვნებელყო" ორი გარდაცვლილი, ოთხი დაჭრილი მამაკაცი და ერთიც 19 წლის ქალიშვილი.

...ამხანაგო ედუარდ, თურმე როგორ გშინებიათ მათი?!.. მაგრამ... თქვენ ყოველთვის გეშინოდათ თქვენივე ხალხის.

...მერე პოლიტიკური აქციის სტატუსი რომ როგორმე მიგეჩქმალათ, „ნარკომანებად", „ბანდიტებად" მონათლეთ მხატვარი სოსო წერეთელი, ექიმი — კახა ივერიელი, ექიმი — პაატა ივერიელი, მხატვარი დავით მიქაბერიძე, მსახიობი გეგა კობახიძე, მხატვარი გია ტაბიძე და... მამაჩემი — ბერი მამა თეოდორე, რომელიც საერთოდ არ ყოფილა თვითმფრინავში და აქციის მოწყობიდან მხოლოდ სამი თვის შემდეგ დააპატიმრეს.

...ინტერვიუში თქვენ „მშვიდი სინდისით" ამბობთ, ამხანაგო, ედუარდ, რომ „მამა თეოდორე ბანდას მეთაურობდა და ამის გამო გავასამართლეთო"...

ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის კანონით, თვით მაშინდელი საბჭოთა კავშირის კანონითაც: ბანდა, ეს არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც სჩადის არა ერთ, არამედ რამდენიმე დანაშაულს. ამდენად, ამის გამო, რომ „გამტაცებლებს" მხოლოდ თვითმფრინავის გატაცება ჰქონდათ განზრახული და მანამდე სხვა დანაშაული არ ჩაუდენიათ, ვერასგზით ვერ მიენიჭებოდათ „ბანდის" სტატუსი. აქედან გამომდინარე, თუ არ არსებობდა „ბანდა", ვერ იარსებებდა მისი „მეთაურიც".

ამხანაგო ედუარდ!... თქვენ საქართველოში 10 წლის განმავლობაში იყავით შინაგან საქმეთა მინისტრი და სხვებზე უკეთ უწყოდით ყოველივე ზემოთქმული. ამდენად, ამხანაგო მინისტრო, თქვენ გაასამართლეთ და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეთ, სრულიად უდანაშაულო ადამიანს — მამა თეოდორეს.

საქართველოს მოსახლეობის ყოველი ფენიდან, ჯერ კიდევ სასამართლომდე, პირადად თქვენთან ამხ. შევარდნაძე, მოდიოდა უამრავი ბარათი, შეწყალების თხოვნით. ყველა გრძნობდა, რა ბედსაც უმზადებდით „გამტაცებლებს".

არ სდუმდა უცხოეთის პრესაც.

ფრანგული ჟურნალი „მონდი": „ქართველი ერის ინტელიგენციამ საბჭოთა მთავრობას სთხოვა, რომ შესაძლებლად მიიჩნიოს ქართველი ახალგაზრდებისათვის სიცოცხლის შენარჩუნება".

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი": „სსრკ-დან წასვლის სურვილი, არასაკმარისი ბრალდებაა მსურველთა სიკვდილით დასასჯელად".

ბატონ ვ. დომუხოვსკისთან ინტერვიუში, ამხანაგი მინისტრი ბრძანებს: „საზოგადოებრიობას ძალზე აინტერესებდა ეს საქმე. დახურულ წერილებს ჩვენ ყოველთვის ვწერდით. ჩვენ უბრალოდ მივმართეთ კომუნისტებს და არა მარტო მათ. პარტია ძალზე ხშირად მიმართავდა რესპუბლიკის მოსახლეობას. ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა".

ამხ. ედუარდ!... ბოლომდე გულწრფელი რომ ყოფილიყავით იტყოდით, რომ მიმართეთ კომუნისტებსა და კომკავშირლებს", რამეთუ „თვითმფრინავის გამტაცებელთა" **შესახებ დახურულ წერილში,** რომელიც საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმოწერით 9000 ტირაჟით გავრცელდა, მიმართავენ მხოლოდ კომუნისტებსა და კომკავშირლებს. საქართველოს მოსახლეობა აქ არაფერ შუაშია. დროა გაიგოთ, ამხ. მინისტრო, რომ საქართველო ოდენ კომუნისტებისა და კომკავშირლებისგან არ შედგება, ეს ერთი;

ახლა მეორე — როგორც რესპუბლიკის ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს, კარგად უნდა გცოდნოდათ, რომ სასამართლომდე „ნებისმიერი ფორმის მიმართვა" პრეზუმპციის ელემენტარული დარღვევა იყო.

და რაც მთავარია, მესამე, ეს ავადსახსენებელი „დახურული წერილი" რომელიც წინ მიდევს, მრავალგზის გადავიკითხე. და მასში, **ვერ აღმოვაჩინე მამა თეოდორეს შესახებ ნათქვამი ერთი სიტყვაც კი.**

ვერ უარყოფთ ამას.

ეს კი იმას ნიშნავს, ამხ. მინისტრო, რომ გამოძიების დაწყებიდან თვეების განმავლობაში მამა თეოდორე არ ფიგურირებდა საქმეში. უკანასკნელ მომენტში დააპატიმრებინეთ იგი. და გაასამართლეთ.

ასე რომ, აღიარეთ, თქვენზე უკეთ არავინ უწყის ის, რომ მამა უდანაშაულო იყო. უფრო მეტიც ჩემს დაჟინებულ მოთხოვნას, ადგილობრივსა თუ საკავშირო ინსტანციაში, შემეტყო მამის განაჩენის შემდგომი ბედი, 7 წლის განმავლობაში არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მიზეზი იმისა, თუ რატომ იყო ეს საქმე წლების განმავლობაში ესოდენ ტაბუდადებული და საიდუმლოებით მოცული, სწორედ თქვენში უნდა ვეძიოთ, რადგან თქვენ არსით ბოლშევიკი ბრძანდებით და ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ისეთივე არაადამიანური სადისტური ცინიზმით მოიქეცით, როგორც თქვენი კოლეგები 37 წელში, სრულიად უდანაშაულო ადამიანებს ჯერ შეთითხნილი ბრალდებით აპატიმრებდნენ და შემდგომ ამისა უკვალოდ აქრობდნენ.

მაგრამ... მამა თეოდორე სუკისა და პირადად ამხ. შევარდნაძისათვის ძალზე **მოუხერხებელი** პიროვნება გახლდათ... ხოლო მას შემდეგ, რაც 1983 წლის პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს დაღუპულთ, მამა თეოდორემ პარაკლისი გადაუხადა სამების ეკლესიაში, იგი ამხანაგი ედუარდისათვის — საშიშიც გახდა... აი იმის ჭეშმარიტი მიზეზი, რატომ გაასამართლეთ და რატომ მიუსაჯეთ სიკვდილი უდანაშაულო ბერს.

რას იზამთ,.. პირადი ამბიციებისათვის უდანაშაულო ხალხის გაწირვა ყველა ბოლშევიკისა და მათ შორის თქვენი ურყევი კანონიცაა.

ახლა, მამა თეოდორეს შესახებ მსურს ვისაუბროთ.

...ამხანაგო მინისტრო, მამა თეოდორე, კომუნისტური რეჟიმის უბრალო მოწინააღმდეგე კი არ გახლდათ, იგი ამ რეჟიმის ცოცხალი პროტესტი იყო. ჯერ კიდევ 15-16 წლის ასაკიდან სწავლობდა მარქსის, ენგელსის, ლენინის შრომებს. ამიტომ ადრეული ასაკიდანვე მიხვდა, თუ ვისთან მოუწევდა ჰქონოდა საქმე. სკოლის დამთავრების შემდეგ ყველა ინსტიტუტის კარი იყო ღია მისთვის, მაგრამ.. უარჰყო! თავისუფლების მონად იქცა. სულის გადარჩენისთვის იღვწოდა მხოლოდ.

რა არის სული და მისი გადარჩენა, შესაძლოა თქვენ ვერ გაიგოთ, არა უჭირს, სხვები გაიგებენ.

ამდენად, როგორც მორწმუნე, სრულიად ახალგაზრდა ასაკიდან ფიგურირებდა მამაჩემი, სუკის არქივებში, და როგორც იდეური მოწინააღმდეგე კომუნისტური რეჟიმისგან დევნას განიცდიდა.

მოკრძალებულად უნდა აღვნიშნო, რომ მამა ადამიანური სიკეთის განსახიერება იყო. მისი ცხოვრების სირთულე ის გახლდათ, რომ თავადაც უწყოდა, ირგვლივ არსებულ რუხ ფერთა გამაში, თავისი მრავალფეროვნებით ვერ ჩაეტეოდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ბერად აღკვეცამდე კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა, განუკითხაობით გულშეძრული, განდეგილივით ცხოვრობდა; იმ პერიოდში კი, სანამ მამა თეოდორე გახდებოდა, თეიმურაზ ჩიხლაძემ შინაგანი სრულყოფისაკენ რთული გზა გაიარა. ბუდიზმითაც იყო დაინტერესებული, სხვა გატაცებებიც ჰქონია, მაგრამ ამგვარ ძიებას იოტისოდენადაც არ შეუცვლია მისი პიროვნება.

მთელი სულიერი ენერგია იქით ჰქონდა მიმართული, რომ ირგვლივ არსებულ უზნეობას არ ჩაეთრია. ხშირად უთქვამს ჩემთვის — ჭამა-სმის გარდა, ამქვეყნად ისეთი რამ არსებობს, რაც ჯერ ტკივილით უნდა მოვიძიოთ და ვიპოვოთ საკუთარ თავში, ხოლო შემდეგ რუდუნებით მოვუფრთხილდეთო. ასეც მოიქცა, რუდუნებით მოსაფრთხილებელი — ქრისტესმიერი გზა იპოვა და 1978 წელს ბერად აღიკვეცა. მოღვაწეობდა: ბოდბეში, ჯიხეთში, ბეთანიაში. მთელი არსებით ცდილობდა რწმენისათვის ეზიარებინა ირგვლივმყოფნი. „თვითმფრინავის გამტაცებლებიც" მასთან თეოლოგიის შესწავლის მიზნით დადიოდნენ. მათ გარდა, მამა თეოდორეს სხვა მოწაფეებიც ჰყავდა.

... 1983 წლის 18 ნოემბრის ტრაგედიის შესახებ მან ისევე შეიტყო, როგორც მე და თქვენ... ძალიან განიცადა... აქციამდე, 10 თვის განმავლობაში მას ხომ საერთოდ არ ჰქონია შეხების წერტილი „გამტაცებლებთან". 1984 წლის თებერვალში კი „ბანდის მეთაურის" ბრალდებით დააპატიმრეს.

... დღემდე მანცვიფრებს ასეთი ბრალდების ცინიზმი. მამა თეოდორეს ბედსა და ბედისწერას ზედმიწევნით მიესადაგება თ. დოსტოევსკის ცნობილი სიტყვები: „იგი დამნაშავე იყო იმაში, რომ უდანაშაულო გახლდათ".

მამა თეოდორეს მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი იყო სისასტიკისა და ცინიზმის გაუგონარი აქტი.

მამა თეოდორე რწმენისათვის აწვალეს მწვალებლებმა.

ამხანაგო ედუარდ, ვერ დამარწმუნებთ, რომ „არაფერი იცოდით, არაფერ შუაში ხართ და არაფერი გახსოვთ"... აი, რას ამბობდა სიკვდილმისჯილი ბერი „საბოლოო სიტყვაში": „ღმერთო, მომეცი ძალა სიმართლე ვთქვა და თუ ღირსი ვარ, დამიცავი...

... უპირველეს ყოვლისა მინდა გითხრათ, რომ მე როგორც მსჯავრდებული, აქ არ უნდა ვიყო. არც ერთ ქვეყანაში უდანაშაულო ადამიანს არ სჯიან, მით უფრო არ ხვრეტენ. თქვენ იცით, რომ მე ღვთისმსახური ვარ და ამის გამო მასამართლებთ.

ბატონებო და ქალბატონებო!.. არავითარი ბოროტება მე არ ჩამიდენია. სასამართლო ბრალად მდებს ბანდის ხელმძღვანელობას. დიახ, მე ვიყავი ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელსაც თეოლოგიას ვასწავლიდი, მაგრამ ბანდის ორგანიზატორი არასოდეს ვყოფილვარ... აქ მყოფ ბრალდებულებთან მქონდა მხოლოდ სარწმუნოებრივი კავშირი. ისეთი, როგორიც აქვს ერთ მორწმუნეს მეორე მორწმუნის მიმართ. მე კარგად ვიცნობ ამ ახალგაზრდებს. თითოეული მათგანი ნიჭიერი და ღრმად განათლებულია. თავადაც დამიდასტურებენ, რომ ყოველთვის ჭეშმარიტებისაკენ და პატიოსნებისაკენ მოვუწოდებდი... ხალხო! თქვენს გულებში ჩაიხედეთ, თქვენსავე გულებში მაინც თქვით, რომ ისეთი არაფერი გამიკეთებია, რომ დახვრეტის მუხლი დავიმსახურო. მე სახარებით ვცდილობდი მორწმუნეთა და ურწმუნოთა შემოერთებას... ჩემს ერთ-ერთ ჯგუფში თეოლოგიას სწავლობდა მარგალიტაშვილი, რომელიც ამჟამად ქუთაისის საეპარქიოს ეპისკოპოსია!..

... ბოლოს და ბოლოს ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ" გაიხსენეთ... მე თავს დამნაშავედ არაფერში არ ვცნობ, მაგრამ... სახლში მაქვს ერთი ძველი ქართული რუკა, სადაც საქართველოს ყველა ტაძარი და მონასტერია აღნიშნული. თუ თქვენ სიცოცხლეს შემინარჩუნებთ, სადაც ხელს დამიდებთ იქ წავალ და გავატარებ ჩემს გატანჯულ ცხოვრებას.

... და თუ მაინც მომკლავთ, და ამით სხვას ეშველება, ან ქვეყანას სჭირდება ეს მსხვერპლი, სიამოვნებით წავალ იმ ქვეყნად...

... ეს კია, ბატონო მოსამართლევ, მალე თქვენი კომპარტიაც მოისპობა, ცენტრალური კომიტეტიც დაიშლება და ყველანი რელიგიისაკენ მოიქცევით...

... ხალხო, — აგრძელებდა იგი, — ოთხ კაცს რატომ ხვრეტთ, მე დამხვრიტეთ. მე არაფერში გამოგადგებით, ამათ კი სიცოცხლე შეუნარჩუნეთ. ამათ მაინც გამოიყენებთო"...

ამხ. ედუარდ!... მოგეხსენებათ, როგორი უსუსურია სტიქიის პირისპირ დარჩენილი ადამიანი. უმწეობისა და პროტესტის გრძნობა აიტანს ხოლმე და თუ უწერია ბეწვის ხიდზეც გაივლის. სწორედ ასეთი რამ განვიცადე, როცა მამასთვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი შევიტყვე. მისი გამოქვეყნებიდან სამი დღეც არ იყო გასული და გაურკვეველ პირობებში, რომელსაც „კომუნისტური ავტოკატასტროფის" სურნელი უდიოდა... გვერდიდან მომაშორეს დედაც. ჩვენ, თქვენთან ამხ. ედუარდ, შეწყალების შესახებ წერილი მოგვქონდა... ერთი სიტყვით ერთ „მშვენიერ" დღეს უდედმამოდ დავრჩი. უმწეობის გრძნობა მალე პროტესტის დაუოკებელმა წყურვილმა შეცვალა, და ... შიმშილობა გამოვაცხადე... მაშინ 13 წლისას, ალბათ, გააზრებული არ მქონდა ვის ვეწინააღმდეგებოდი, მაგრამ ვგრძნობდი, ასე იყო საჭირო... პირველ რიგში ჩემთვის... მამასთვის.

ამხანაგო, ედუარდ!.. ძველ ქრისტიანულ ქვეყანაში, თუ რაიმე დანაშაულს ჩაიდენს ღვთისმსახური, გასამართლებამდე აუცილებლად დგება საკითხი მისი ეკლესიისგან მოკვეთის შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ ამბობს მართლმსაჯულება თავის სიტყვას. გასაკვირი არაა, რომ იმპერიამ ეს კანონიც უგულვებელყო.

მე ბრალს გდებთ, ამხ. ედუარდ!...

ბრალს გდებთ, მამაჩემისთვის სასიკვდილო განაჩენის შეთითხვნაში!

ბრალს გდებთ ღვთისმსახურის დახვრეტაში!

უკვე რამდენიმე თვეა წამოვიწყე სასამართლო პროცესი განაჩენის გამოტანაში ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილის მიმართ. ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე თქვენ ხართ. ამხ. შევარდნაძევ!... და მოკლე ხანში ამ ბრალდებას იურიდიული საფუძველი დაედება...

... აი, მაშინ კი მოგიწევთ მეხსიერებას ძალა დაატანოთ და გაიხსენოთ რა იცით და რის „შუაში" ხართ.

დასასრულს მინდა ერთი რამ კიდევ გითხრათ:

... იმდენი დანაშაული დატოვეთ, აქ, საქართველოს მიწაზე, რომ გიმეორებთ, თქვენ გეშინიათ თქვენი ხალხის!... ამიტომ ებრძვით მას, როგორც შეგიძლიათ, ყველა მიუღებელი და მიღებული მეთოდით.

ერთი წუთით დაფიქრდით, ერთმა კაცმა როგორ იცით უკეთესად, რა იქნება უპრიანი საქართველოს მომავლისთვის, და მთელმა ქართველმა ერმა [illegible] არ უწყის?!...

დემოკრატიისა და სამართლიანობის მანტიამოსხმული, მშვიდობისა და ჰუმანიზმის ფსევდოიდეებით მავანზე შესაძლებელია შთაბეჭდილებას ახდენდეთ, მაგრამ მე და... არა მარტო მე, ხომ კარგად ვიცი ამ მანტიის მიღმა ვინ დგას?...

ამ ცოტა ხნის წინ „ნეზავისიმაია გაზეტას" ფურცლებზე ვინმე ა. ყარაულოვს დამშვიდებული სინდისით ეუბნებოდით: „არ შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში ხალხს ვძულვარ ან პატივს არ მცემს"...

ჯერ ერთი, საქართველო ქრისტიანთა ქვეყანაა და აქ მიმტევებლები ცხოვრობენ.

მეორეც... საქართველოს ფარგლებს მიღმა ფოფხაძეებ-გუმბარიძეებ-მგელაძეებით გარშემორტყმულს, ალბათ, გეჩვენებათ, რომ **სრულიად საქართველო მოსკოვში გახლავთ.**

არა, ამხანაგო!...

საქართველო შავი ზღვის პირას მდებარე ულამაზესი ქვეყანაა, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა.

... და სწორედ ეს ქვეყანა მოგიტევებთ, თუ მოინანიებთ... აღიარებთ ცოდვებს-...

... იქ, „ცათა შინა" კი დე, უფალმა შეგინდოთ, უდანაშაულო ღვთისმსახურის, მამა თეოდორეს დახვრეტა.

... „არ იცით და არ გახსოვთ"...

გაიხსენეთ ღმერთი, ამხ. ედუარდ!...

... და მოინანიეთ, არა ჩრდილოეთის წითელ ღმერთებთან: ბრეჟნევთან, ანდროპოვთან, გორბაჩოვთან.... ისინი, ანტიქრისტენი გახლავან!... არამედ, მოინანიეთ ჭეშმარიტ ღმერთთან, რომელიც ერთია!... რომელიც ყველგანაა და ყველაშია.

ნუ შეგიპყრობთ გულმავიწყობამ...

... გაიხსენეთ, რომ საქართველო ოცდაათსაუკუნოვანი გულმოწყალებისა და თექვსმეტსაუკუნოვანი ქრისტიანული მიმტევებლობის ის ქვეყანაცაა, რომელმაც მოკვეთაც იცის...

გაიხსენეთ, „ვისი გორისა ხართ... **გაიხსენეთ,** ხევისბერი გოჩა", „გორისდამვიწყებელი" საკუთარი შვილი რომ მახვილით შერისხა.

საქართველოს ერთადერთი მახვილი აქვს — სიმართლის მახვილი, და თუ მის მიერ მოიკვეთეთ... ნავთსაყუდელს ვერსად ჰპოვებთ...

... მაშინ წადით და იცოცხლეთ... მიბრძანდით და იქადაგეთ, „გლობალურ დემოკრატიულ! პროცესებზე, უსამშობლოდ, უსაქართველოდ დარჩენილმა.

...მოინანიეთ!...

... ბოლოთქმა ჩემი წერილის ერთი ხიდის ამბავი იქნება; თუ ხიდი ჩატყდა, პასუხს მშენებელი მუშები კი არა, ხიდის მშენებელი ინჟინერი აგებს... მით უფრო, თუ ხიდის დანგრევას მსხვერპლი მოჰყვება.

ელისაბედ ჩიხლაძე

30. XI. 91.

რეკლამა

გამოვიჩინოთ გულისხმიერება

11 წლის დავით ლევანის ძე ქაფიანიძე უკვე ათი წელია ქრონიკული ინტერსტიციული ნეფრიტისგან მკურნალობს. უკანასკნელი 4 წლის მანძილზე დაავადებამ პროგრესირება განიცადა და თირკმლის ქრონიკული უკმარისობა ჩამოყალიბდა. ავადმყოფს სასწრაფოდ ესაჭიროება მკურნალობის გაგრძელება გერმანიის რესპუბლიკაში, რისთვისაც მოგმართავთ დახმარებისათვის.

გახსნილია ანგარიში — საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის რესპუბლიკურ ბანკში № 004400114 მფო 805227. სსრკ საგარეო ეკონომიკური ბანკის საქართველოს რესპუბლიკის ბანკში — საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი, ანგ. № 704000017.

გთხოვთ გამოიჩინოთ გულისხმიერება და შეძლებისდაგვარად დაეხმაროთ დათო ქაფიანიძეს.

წინასწარ გიხდით მადლობას.

თბილისის ბავშვთა V კლინიკური საავადმყოფო.

გსურთ თუ არა, რომ საგაისოდ წარმატება და სიხარული დაგებედოთ?

გინდათ მეგობრებთან და სტუმრებთან ერთად სასიამოვნო გარემოში გაატაროთ სადღესასწაულო საღამო?

რამდენი ხანია მეუღლე არსად დაგიპატიჟნიათ?

— მოკლედ, 2 იანვარს, ბედობა დღეს გეპატიჟებით საახალწლო ბიზნეს შოუ-ბანკეტზე, რომელიც გაიმართება სასტუმრო „მეტეხის" საბანკეტო დარბაზში და საღამოს 8 საათიდან ღამის 3 საათამდე გასტანს.

რა გელოდებათ? — ყველაფერი, რასაც ისურვებთ:

სუფრა — თავისი ჩიტის რძით, სასმელი — რამდენსაც მოერევით, და უამრავი სიურპრიზი.

სავარაუდოა უცხოური და საბჭოთა კომერციული ფირმების წარმომადგენლების სტუმრობა.

გექნებათ შესაძლებლობა, საქმიანი კონტაქტების დამყარებისა.

შეგიძლიათ შეგვიკვეთოთ, თქვენი ფირმის სარეკლამო ფირნიში და სატელევიზიო სარეკლამო საეთერო დრო.

ხელმძღვანელები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საკუთარი ფირმის კეთილდღეობით, დარწმუნებული ვართ, არ დაიშურებენ მაკულატურად ქცეულ საბჭოთა მანეთებს.

მგონი დაგაინტერესეთ!?

— ამიტომ, თუ არ გინდათ, რომ კიდევ ერთი საახალწლო საღამო გაატაროთ რესტორნიდან რესტორანში ერთი მყუდრო მაგიდისა და ახალი წლიდან კიდევ უფრო გაძვირებული შამპანურის ძებნაში, დაგვირეკეთ ან მოგვაკითხეთ. ბოლო ვადა — 15 დეკემბრის 20 საათამდე.

ბუდაპეშტის ქ. № 1. ფირმა „ტს" — ფირმა „არგო", ტელეფონი — 37-58-25.

„საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას ესაჭიროება კვალიფიციური მბეჭდავ-მემანქანე. ცნობებისათვის ტელ.: 99-66-10.

საქმიანი საქართველო
BUSINESS GEORGIA

RANK XEROX
AUTHORISED DEALER

„RANK XEROX"-ის სასაქონლო ნიშნის მქონე ასლგადამღებ მანქანებს, ტელეფაქსებს, ლაზერულ პრინტერებს, საბეჭდ მანქანებს და სხვა ორგტექნიკას, რომელიც თქვენ გჭირდებათ; მათს საფირმო სერვისს და სახარჯი მასალებით მომარაგებას.

„RANK XEROX"-ის ორგტექნიკა ოფისში პრესტიჟის და საქმიანი აზროვნების მაჩვენებელია.

RANK — პრესტიჟულია, ვინაიდან აღიარებულია მსოფლიოში საუკეთესოდ.

XEROX — მომგებიანია, რადგან ყველაზე სანდო და იაფად მომსახურებადია.

ჩვენთან კონტაქტი — მოგების ტოლფასია. ჩვენი მეშვეობით:

— შეიძენთ ორგტექნიკას საბაზროზე სულ ცოტა მეოთხედით იაფად.

— უზრუნველყოფილი იქნებით ფირმის დიპლომების მქონე სპეციალისტების მიერ ტექნიკის სერვისით და იაფი სახარჯი მასალებით.

იჩქარეთ, დაასწარით ფასების ზრდას.

ჩვენი ტელეფონია 983631.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბოტანიკურ ბაღთან არსებული „გამოყენებითი ბოტანიკისა და მწვანე მშენებლობის" უმაღლესი კომერციული სასწავლო ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1992 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამკურნალო მცენარეთა მოშენება და ექსპლოატაცია — სამკურნალო მცენარეთა მენეჯერი;
2. მეყვავილეობა და სასათბურე მეურნეობა — მეყვავილეობისა და სასათბურე მეურნეობის მენეჯერი;
3. დენდროლოგია და სანერგე მეურნეობა — დენდროლოგ-მენეჯერი;
4. მწვანე ნარგაობათა დაპროექტება და გაშენება — მწვანე მშენებლობის მენეჯერი.

ინსტიტუტში სასწავლებლად მიიღებიან საშუალო, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქეები ასაკის მიუხედავად. ჩარიცხვა მოხდება კონკურსის წესით. სწავლების ვადა ოთხი წელია. სწავლება ქართულ ენაზეა. ინსტიტუტი სამეურნეო ანგარიშზეა. აბიტურიენტები წლიურად გადაიხდიან 7000 მანეთს (ცვლილებები ინფლაციური პროცესების შესაბამისად). აღნიშნული თანხა შეიძლება გადახდილ იქნეს როგორც ნაღდი ანგარიშით, ასევე გადარიცხვით (წარმოება დაწესებულებებისა და სპონსორების მიერ) აბიტურიენტის ჩარიცხვიდან ერთი კვირის ვადაში, გარიცხულ სტუდენტებს გადახდილი თანხა არ უბრუნდებათ.

გასაუბრება ჩატარდება შემდეგ საგნებში: ბოტანიკაში და ზოგად ბიოლოგიაში 1 2, 3 სპეციალობებზე, ბიოლოგიაში და ხაზვა — ხატვაში — მე-4 სპეციალობაზე.

ჩარიცხვა მოხდება მიმღები კომისიის გადაწყვეტილებით. ჩარიცხვის დროს უპირატესობა მიეცემათ იმ აბიტურიენტებს, რომელთაც ექნებათ წარმოდგენილი რაიონის პრეფექტურიდან ან ქალაქის მერიიდან შუამდგომლობა, აგრეთვე სატყეო მეურნეობებში და გამწვანებაში დასაქმებულ პირებს, შემდეგ კი იმათ, ვისაც საშუალო განათლების ატესტატში ქულების უფრო დიდი ჯამი ექნებათ. ფრიადოსნები ჩაირიცხებიან გასაუბრების გარეშე.

სტუდენტებს ლექციებს წაუკითხავენ და ლაბორატორიულ სამუშაოებს უხელმძღვანელებენ როგორც ადგილობრივი, ისე მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები. ინსტიტუტს კავშირი ექნება მსოფლიოს თითქმის ყველა ბოტანიკურ ბაღთან, რაც საშუალებას იძლევა წარჩინებულმა სტუდენტებმა საწარმოო პრაქტიკა გაიარონ საზღვარგარეთ. წარჩინებით კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა განაგრძოს ბოტანიკური ბაღის ასპირანტურაში. სწავლის ხარჯებს გადაიხდის ინსტიტუტი.

ინსტიტუტში განხორციელდება უცხო ენების გაძლიერებული სწავლება. სტუდენტს, რომელიც, გამოავლენს კარგ ცოდნას და გამოსაშვებ გამოცდებზე ჩააბარებს დამატებით გამოცდას უცხო ენაში, დიპლომთან ერთად მიეცემა მთარგმნელის მოწმობა შესაბამისი სპეციალობით.

წარჩინებულ და 4 და მეტი შვილიანი ოჯახებიდან ჩარიცხულ სტუდენტებს მიეცემათ სტიპენდია 100 მანეთის ოდენობით.

საბუთების მიღება იწარმოებს ყოველდღე (გარდა კვირისა) 28 დეკემბრის ჩათვლით 10 საათიდან 16 საათამდე. გასაუბრება 29-30 დეკემბერს.

სწავლა დაიწყება 8 იანვრიდან.

ინსტიტუტში შემსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ: საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების ატესტატი (დედანი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფ. №086) 4 ფოტოსურათი (3X4); პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას აბიტურიენტები წარმოადგენენ პირადად საგამოცდო მომსახურებისათვის აბიტურიენტი საბუთებთან ერთად შემოიტანს 100 მანეთს.

მისამართი: თბილისი, 38 0005, ბოტანიკური ქ. № 1.

თბილისის ბოტანიკური ბაღი, სამკურნალო მცენარეთა განყოფილების კორპუსი. ტელეფონები: 72-11-85, 72-42-46, 72-26-19.

თბილისის ჟურნალისტთა უმაღლესი სკოლა

იწვევს მხოლოდ იმათ, ვისაც ნამდვილად სურს სწავლა.

სწავლისთვის გაიღებთ გარკვეულ თანხას, მაგრამ ნაყოფიერად გამოიყენებთ დროს. შეიძენთ საფუძვლიან ჰუმანიტარულ განათლებას და საერთაშორისო დონის პროფესიულ ოსტატობას.

ტრადიციულ პროგრამებთან ერთად შეისწავლით მენეჯერობისა და მარკეტინგის, „ნოუ-ჰაუს" და რეკლამის თეორიის, იურისპრუდენციისა და ბუნებათსარგებლობის თანამედროვე პრინციპებს, ამასთან უცხო ენებს, მჭევრმეტყველებას, პლასტიკას, ქცევის მანერებსაც კი, რაც მომავალში, თქვენი, როგორც პროფესიონალი ჟურნალისტის წარმატების საწინდარი გახდება.

სწავლების ხანგრძლივობა 4 წელია. უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის — 2 წელი.

ჟურნალისტთა უმაღლეს სკოლასთან მოსწავლეთა მოსამზადებელი კურსებიც იარსებებს.

აბიტურიენტებს შევარჩევთ შემოქმედებითი ტურების საშუალებით.

სწავლება დაიწყება იანვრიდან.

აბიტურიენტებს ვთხოვთ განცხადებებთან ერთად წარმოადგინონ 4 ფოტოსურათი, განათლების მოწმობა, ავტობიოგრაფია, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

საბუთებს მივიღებთ 15 დეკემბრიდან.

ცნობებისათვის მოგვმართეთ: თბილისი. ბარნოვის ქ. 170. მე-3 სართული, ოთახი 307. ტელეფონი 29-26-08.

საქართველო-თურქეთის საქმიანი ურთიერთობის ასოციაცია

აცხადებს მსმენელთა მიღებას თურქული ენის შემსწავლელ ფასიან კურსებზე.

კურსებზე გაიხსნება ორი განყოფილება საშუალო და უმაღლესი განათლების მსმენელთათვის და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის იმ კურსდამთავრებულთათვის, რომლებიც სწავლობდნენ თურქულ ენას და სურთ აღიდგინონ ან გაიღრმაონ თურქულის ცოდნა.

პედაგოგებად მოწვეული არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქული ენის კათედრის პროფესორ-მასწავლებლები.

სწავლის ხანგრძლივობა 7 თვეა.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად გთხოვთ მობრძანდეთ საქართველო-თურქეთის საქმიანი ურთიერთობის ასოციაციაში. დავით აღმაშენებლის გამზირი, 61, III სართული, ოთახი 13 ყოფილი პოლიტგანათლების სახლის შენობა, შესასვლელი ეზოდან). ტელეფონი 95-17-54. მიღება ყოველდღე, გარდა უქმე დღეებისა, დილის 10 საათიდან.

საქართველო-თურქეთის საქმიანი ურთიერთობის ასოციაცია

„საქართველოს უნივერსალური ბირჟა"

სააქციო საზოგადოების „საქართველოს უნივერსალური ბირჟის" გამგეობა სთხოვს აქციონერებს, რომელთაც დაფარული აქვთ აქციის მთლიანი ღირებულება და მიღებული აქვთ დროებითი მოწმობა, მობრძანდნენ საზოგადოების დირექციაში აქციის სერტიფიკატის მისაღებად.

აქციონერებმა უნდა იქონიონ პირადობის მოწმობა, დროებითი მოწმობა, ხოლო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ორგანიზაციის მინდობილობა.

მისამართი: მ. წინამძღვრიშვილის ქ. № 126, II სადარბაზო, II სართული, მე-18 ოთახი, 16 საათიდან 18 საათამდე.

ტელეფონი: 96-43-69, 96-43-71, 96-43-66.

საბუღალტრო აღრიცხვის და საგადასახადო კანონმდებლობის შემსწავლელთა საყურადღებოდ!

სასწავლო-სამეცნიერო მცირე საწარმო „ბუღალტერ-ექსპერტი" თავის მუდმივმოქმედ კურსებზე აგრძელებს ბუღალტრების მომზადებას კოოპერატივების და მცირე საწარმოებისათვის.

კურსებზე დაწვრილებით შეისწავლება აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის ყველა აქტუალური საკითხი და ეკონომიკის საფუძვლები.

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული გაძლიერებული პრაქტიკული კურსის მეშვეობით დაინტერესებული მსმენელები სწავლების დამთავრების შემდეგ დამოუკიდებლად შეძლებენ საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას.

სათანადო საბუღალტრო რეგისტრების, ტიპური ფორმების და საგადასახადო ინსპექციაში წარსადგენი ანგარიშების პრაქტიკულად შესწავლა-შევსებით განხილული იქნება სალაროს და ბანკის ოპერაციები, აგრეთვე თვითღირებულებასთან, რეალიზაციასთან, მოგებასთან, ფონდების შექმნასთან და სხვა ანალოგიურ კატეგორიებთან დაკავშირებული საკითხები საბაზრო ეკონომიკის პირობების გათვალისწინებით.

მეცადინეობებს ჩაატარებენ თბილისის საფინანსო სამმართველოს და სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, აგრეთვე დიდი გამოცდილების მქონე პრაქტიკოსი ბუღალტრები, რომელთაც ასეთი ხასიათის სწავლების ჩატარების მრავალი წლის გამოცდილება აქვთ.

სწავლების კურსი 35-დღიანია. ყველა კურსდამთავრებული მიიღებს შესაბამის მოწმობას. კურსების დამთავრების შემდეგ მათ გაეწევათ სისტემატური კონსულტაცია მუშაობის პროცესში.

სწავლების მსურველები იკრიბებიან 16 და 17 დეკემბერს პეტრიაშვილის ქ. № 7-ში, ქართული გიმნაზიის შენობაში, 17-დან 18 საათამდე.

სწავლა დაიწყება 18 დეკემბერს.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ ტელეფონით: 22-30-11 (ყოველდღე 15-დან 20 საათამდე).

იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური საზოგადოების მცირე საწარმო „განათლება-XX"

იურიდიული და კერძო პირებისგან იღებს განაცხადებს ინფორმაციის კომპიუტერული გაცვლის თანამედროვე ტექნოლოგიურ სისტემა „სიტეკში" ჩართვისათვის.

ტელეკომუნიკაციის სისტემა „სიტეკის" საინფორმაციო სამსახურით სარგებლობს **ათობით ბირჟა, ბანკი, ასობით საბროკერო კანტორა, ჰყავს ათასობით მომხმარებელი.**

„სიტეკ"-ის აბონენტებს საშუალება ექნებათ:

1. მიიღონ ოპერატიული ცნობები რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების წამყვანი ბირჟებიდან, შეძენისა და გაყიდვის ცნობების ჩართვით;
2. გააფორმონ ხელშეკრულებები ბროკერულ მომსახურეობაზე;
3. ისარგებლონ ელექტრონული ფოსტით — გაცვალონ ტექსტური, გრაფიკული და სხვა სახის ინფორმაციები (წერილები, საქმიანი ქაღალდები და სხვა.).
4. მიიღონ ინფორმაციები მონაცემთა კომერციული ბანკებიდან;
5. ისარგებლონ ელექტრონული დაფით, რომლის საშუალებითაც შეუძლიათ მოძებნონ საქმიანი პარტნიორები განცხადებებისა და რეკლამების საშუალებით.

მე-5 — მე-10 კლასების მოსწავლეთა საყურადღებოდ!

გრძელდება მიღება მათემატიკის, ფიზიკისა და ინფორმატიკის დაუსწრებელ სკოლაში (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 26-X-1991 წ.)

ინფორმატიკის მასწავლებელთა საყურადღებოდ!

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ინფორმატიკის მასწავლებლებს ვიწვევთ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

დაწესებულია შემდეგი პრემიები:

1. ერთი პირველი პრემია 3000 მან.
2. ერთი მეორე პრემია 2000 მან.
3. ორი მესამე პრემია 1000-1000 მან.

სოფლის სკოლების ხუთ საუკეთესო მასწავლებელს დაენიშნება ყოველთვიური სტიპენდია 100 მანეთის ოდენობით ერთი წლის განმავლობაში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებს გთხოვთ მოგვწეროთ 1 იანვრამდე, რის შემდეგაც მიიღებთ დაწვრილებით ინფორმაციას.

გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტის „კორვეტის" მფლობელთა საყურადღებოდ!

გთავაზობთ პროგრამული უზრუნველყოფის ფართო სპექტრს: ტექსტურ, გრაფიკულ და მუსიკალურ რედაქტორებს, ბეჭდვის პროგრამებს, ქსელის ოპერაციულ სისტემას, „C" და „EXPRESS-PASCAL"-ის პაკეტებს, სასწავლო, სადემონსტრაციო და სათამაშო პროგრამებს და სხვა (სულ 20 დისკი).

მსურველებს ვიწვევთ „კორვეტის" მომხმარებელთა სექციაში მეცადინეობისათვის 1992 წლის 1 იანვრიდან (შეიძლება დაუსწრებელი ფორმით მეცადინეობაც).

ჩვენი მისამართია: 380002, თბილისი, დ. უზნაძის ქ. 68 იაკობ გოგებაშვილის სახ. პედაგოგიური საზოგადოების მს „განათლება-XX" ტელ: 95-61-98, 88-08-14.

შესწორება

ჩვენი გაზეთის 7 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილ საინგილოს დახმარების საქველმოქმედო საზოგადოების მიმართვაში მისამართი უნდა იკითხებოდეს ასე: 388040, ქ. რუსთავი, თოდრიას ქ. № 17/54, ტელ.: 12-85-27.

მთავარი რედაქტორი მარიკა აზაიშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსში, [illegible] ქ. № 29
ინდექსი 64434

რედაქციაში შემოსული მასალები
ავტორებს არ უბრუნდება